



კალიგულა
ალბერ კამიუ

პიესა ოთხ მოქმედებად

კალიგულა

ცეზონია

ჰელიკონი

სციპიონი

ხერეა

სენეკტუსი,

მოხუცი პატრიციუსი

მეტელუსი

ლეპიდიუსი

ოკტავიუსი

ინტენდანტი

მერეა

მუციუსი

პირველი მცველი

მეორე მცველი

პირველი მსახური

მეორე მსახური

მუციუსის მეუღლე

პირველი პოეტი

მეორე პოეტი

მესამე პოეტი

მეოთხე პოეტი

მეხუთე პოეტი

მეექვსე პოეტი

მოქმედება ხდება კალიგულას სასახლეში.

პირველ და მომდევნო მოქმედებათა შორის 3 წლის ინტერვალია.

პირველი მოქმედება

სცენა პირველი

სასახლის ერთ-ერთ დარბაზში თავი მოუყრიათ პატრიციუსებს. მათ შორისაა ერთი ხანშიშესული პატრიციუსი. როგორც ჩანს, დელავენ.

პირველი პატრიციუსი. ისევ არაფერი

ხნიერი პატრიციუსი. დილით არაფერი, საღამოსაც არაფერი.

მეორე პატრიციუსი. უკვე სამი დღეა არაფერი ვიცი.

ხნიერი პატრიციუსი. შიკრიკები მიდიან, შიკრიკები მოდიან, თავს მდაბლად ხრიან და გაიძახიან: «არაფერი».

მეორე პატრიციუსი. სად აღარ ვეძებეთ, მაგრამ ამაოდ.

პირველი პატრიციუსი. არ ვიცი, ღმერთმანი, რა გვაფორიაქებს. მოვითმინოთ. როგორც წავიდა, ისე მოვა კიდეც.

ხნიერი პატრიციუსი. მე დავინახე, როგორ გავიდა ის სასახლიდან. მეტად უცნაური გამომეტყველება ჰქონდა.

პირველი პატრიციუსი. მაგ დროს მეც აქ ვიყავი და, ვკითხე კიდეც, რა დაგემართა მეთქი.

მეორე პატრიციუსი. ერთადერთი სიტყვა «არაფერი».

ცოტა ხნის შემდეგ შემოდის ჰელიკონი, ხახვის ღეჭვით.

მეორე პატრიციუსი (შეშფოთებული). ძალიან მაწუხებს ეს ამბავი.

პირველი პატრიციუსი. კარგით, რა, რით ვერ გაიგეთ, რომ ყველა ახალგაზრდა ასეთია.

ხნიერი პატრიციუსი. ხანში შევა და ყველაფერი გაუვლის.

მეორე პატრიციუსი. თქვენ ასე გგონიათ?

პირველი პატრიციუსი. ოღონდ, დრუზილა უნდა დაივიწყოს.

ხნიერი პატრიციუსი. რა თქმა უნდა, ეგ ერთი და სხვა მრავალი.

ჰელიკონი. რა შუაშია სიყვარული?

პირველი პატრიციუსი. აბა, სხვა რა უნდა იფიქროს კაცმა?

ჰელიკონი. როგორ თუ რა? იქნებ კაცს ღვიძლი აწუხებს. ანდა, იქნება, აღარ შეუძლია ყოველდღე თქვენი ყურება, განა უფრო არ გაგვიადვილდებოდა ერთმანეთის ატანა, შიგადაშიგ გარდასახვა რომ შეგვეძლოს. მაგრამ ნურას უკაცრავად, კერძი კერძად რჩება. სულ ჩახობილი და ჩახობილი...

ხნიერი პატრიციუსი. მე მირჩევნია, სიყვარულს დაბრალდეს კალიგულას გადასხვაფერება. ხალხსაც უფრო აუჩუყდება გული.

ჰელიკონი. უფრო სწორად კი-ხალხი მაგას უფრო დაიჯერებს, არა? სიყვარული ხომ ის სენია, ჭკვიანსაც და სულელსაც ერთნაირად რომ მიეძალება ხოლმე.

პირველი პატრიციუსი. ასე თუ ისე, სამუდამო ტკივილი არ არსებობს. თქვენ რა, შეგიძლიათ ერთ წელიწადზე მეტხანს იტანჯოთ?

მეორე პატრიციუსი. მე, არა.

პირველი პატრიციუსი. ეს არავის შეუძლია. ვინ მოგვცა მაგის ძალა.

ხნიერი პატრიციუსი. სხვანაირად, ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა.

პირველი პატრიციუსი. სავსებით გეთანხმებით. გასულ წელს მეუღლე გარდამეცვალა. ვიგლოვე, ვიგლოვე, მერე კი, დამავიწყდა. ზოგჯერ ბოღმა შემომაწვება ხოლმე, ეგ არის და ეგუ

ხნიერი პატრიციუსი. მართლაც რომ დიდი შემოქმედია ბუნება.

ჰელიკონი. თქვენ შემხედვარეს მგონია, რომ ბუნებასაც რაღაც ეშლება ხოლმე.

შემოდის ხერეა.

პირველი პატრიციუსი. არის რამე ახალი?

ხერეა. არა და არა.

ჰელიკონი. დამშვიდდით ბატონებო, დამშვიდდით. თავდაჭერა გვმართებს. ჩვენ ხომ რომის იმპერიას წარმოვადგენთ. გავუფრთხილდეთ გარეგნულ იერს, თორემ თუ სახეს დავკარგავთ,

იმპერია თავს დაკარგავს. თუმცა, რა დროს ამაზე ლაპარაკია. მოდით, წავისაუზმოთ და იმპერიაც უკეთ იგრძნობს თავს.

ხნიერი პატრიციუსი. სწორეა, მეტისმეტად დავფრთხით.

ხერეა. რა ვქნა, არ მომწონს ეს ამბავი. აფსუს, რა კარგად მიდიოდა საქმე, რა ყოვლად შემკული იმპერატორი გვყავდა.

მეორე პატრიციუსი. უკეთესს ვერც ვინატრებდით: ის იყო წესიერი და გამოუცდელი.

პირველი პატრიციუსი. რა დაგემართათ? რა გაწუწუნებთ? რატომ გგონიათ, რომ ის შეიცვლება. კი ბატონო, ვიცით, რომ მას დრუზილა უყვარდა, საკუთარი და. ჯერ მარტო ის, რომ საკუთარი და ჰყავდა საყვარლად, უკვე მეტისმეტია, ხოლო ის, რომ მთელი რომი გადარია დრუზილას სიკვდილის გამო, ყოველ ზღვარს სცილდება.

ხერეა. მე მაინც არ მომწონს ეს ამბავი, მისი გაქცევაც ვერაფრით ვერ ამიხსნია.

ხნიერი პატრიციუსი. მართალი ბრძანებაა. უმიზეზოდ არაფერი ხდება.

პირველი პატრიციუსი. სახელმწიფო წინააღმდეგია სისხლის აღრევისა და თუ ეს მაინც გარდუვალია, ფარულად უნდა ხდებოდეს და არა ყველას დასანახად.

ჰელიკონი. მოგეხსენებათ, რომ მრუმობა, გინდა თუ არა, ყოველთვის მჟღავნდება. უკაცრავი პასუხია და, საწოლი ჭრაჭუნებს. მაგრამ, რატომ ფიქრობთ, რომ მაინც და მაინც დრუზილას მიზეზით ხდება ეს ყველაფერი.

მეორე პატრიციუსი. მაშ, სხვა რა მიზეზი შეიძლება იყოს?

ჰელიკონი. ეცადეთ, გამოიცნოთ. არ დაგავიწყდეთ, რომ უბედურებაც ქორწინებასავითაა. გგონია, თვითონ ირჩევ ცხოვრების თანამგზავრს, სინამდვილეში კი თურმე შენ ამოგარჩიეს. რას იზამ, ასეა. ჩვენი კალიგულა უბედურია, თვითონ კი შეიძლება არც კი იცის რატომ, ალბათ იგრძნო, რომ ჩიხში მოექცა და ამიტომაც გადაიკარგა. მის ადგილზე ყველა ასე მოიქცეოდა. მე, პირადად, სულ არ დავიბადებოდი, ჩემზე რომ ყოფილიყო მამის ამორჩევა.

შემოდის სციპიონი.

სცენა მეორე

ხერეა. რა ამბავი მოგაქვს?

სციპიონი. ისევ არაფერი. გლეხებს თვალი მოუკრავთ მისთვის გუშინდამ, იმ გრგვინვა-ჭექაში სადღაც გარბოდა თურმე.

(ხერეა სენატორებთან მიდის. სციპიონიც მიყვება).

ხერეა. სციპიონ, სამი დღეა, რაც წავიდა, არა?

სციპიონი. დიახ, იმ დღესაც თან ვახლდი. მახსოვს, დრუზილას გვამთან მივიდა, ორი თითით შეეხო, ჩაფიქრდა და იქვე გაეცალა არე-მარეს. იმ დღის მერეა, რომ დავეძებთ.

ხერეა. (თავს გადააქნევს). კალიგულას ძალიან უყვარდა ლიტერატურა.

მეორე პატრიციუსი. ასაკის ბრალია.

ხერეა. მაგრამ, ეს ხომ დაუშვებელია მისი წოდებისათვის. ვის გაუგია ხელოვანი იმპერატორი. თუმცა ასეთებიც გვყოლია. ქეციან ცხვრებს რა გამოლევს. თუმცა, სხვებს ჭკუა ჰყოფნიდათ და მოხელეებად მაინც რჩებოდნენ.

პირველი პატრიციუსი. ასე უფრო მშვიდად გრძნობდნენ თავს.

ხნიერი პატრიციუსი. ყველა თვითონ ირჩევს თავის გზას.

სციპიონი. როგორ მოვიქცეთ, ხერეა?

ხერეა. არ ვიცი.

მეორე პატრიციუსი. მოვიცადოთ, თუ არ მობრუნდება, სხვა დავაყენოთ მის ადგილზე. იმპერატორებს რა გამოლევს ჩვენში.

პირველი პატრიციუსი. სამაგისო ძალა ვინ მოგვცა.

ხერეა. თუ ცუდ გუნებაზე დაბრუნდა, მაშინ?

პირველი პატრიციუსი. მაშინ ის, რომ არ უნდა გაგვიჭირდეს კალიგულას ჭკუაზე მოყვანა, ის ჯერ კიდევ ბავშვია.

ხერეა. თუ ყური არ დაგვიგდო, მაშინ?

პირველი პატრიციუსი. (სიცილით). დიდი ამბავი. აკი მე თვითონ დავწერე ტრაქტატი სახელმწიფო გადატრიალების შესახებ.

ხერეა. შენი ნაშრომის გახსენება არ დაგვიჭირდება: ჩემი წიგნები ბევრად უკეთესი მგონია.

სციპიონი. გთხოვთ, მაპატიოთ. (გადის).

ხერეა. კალიგულა გაბრაზებულია.

ხნიერი პატრიციუსი. კალიგულა ჯერ კიდევ ყმაწვილია. ამ ასაკში ყველა ერთსულოვანია.

ჰელიკონი. ერთსულოვნება ვერ უშველის საქმეს, ერთ მშვენიერ დღეს ყველა დაბერდება.

შემოდის მცველი და აცხადებს: «კალიგულა უნახავთ სასახლის ბაღში». ყველა გადის.

სცენა მესამე

სცენა ერთხანს ცარიელია. მარცხენა მხრიდან ფეხაკრეფით შემოდის კალიგულა. დაბნეული აქეთ-იქით იყურება, თმა სველი აქვს და ჭუჭყიანი, ფეხები ამოსვრილი. პირზე რამოდენიმეჯერ ხელს მიიფარებს, მიუახლოვდება სარკეს და როგორც კი თავის თავს დაინახავს, გაჩერდება, რაღაც გაუგებარ სიტყვებს ბუტბუტებს, მერე ჯდება მარჯვნივ, მუხლებში თავჩარგული. მარცხნიდან ჰელიკონი შემოდის. კალიგულას დანახვაზე შეჩერდება, უჩუმრად აკვირდება. კალიგულაც შეამჩნევს ჰელიკონს. დუმილი.

სცენა მეოთხე

ჰელიკონი. (სცენის ერთი ბოლოდან მეორეში). გამარჯობა, კაიუს.

კალიგულა. (ძალდაუტანებლად). გაგიმარჯოს, ჰელიკონ. (სიჩუმე).

ჰელიკონი. დადლილი ხარ?

კალიგულა. ბევრი ვიარე.

ჰელიკონი. ჰო, დიდი ხანია, რაც წასული ხარ. (სიჩუმე).

კალიგულა. გამიმჩნელდა პოვნა.

ჰელიკონი. რისი პოვნა?

კალიგულა. იმის, რაც მინდოდა.

ჰელიკონი. მერედა, რა გინდოდა?

კალიგულა. (ისევ ძალდაუტანებლად). მთვარე.

ჰელიკონი. რა?

კალიგულა. მთვარე.

ჰელიკონი. ოჰ. (სიჩუმე. ჰელიკონი უახლოვდება). რატომ?

კალიგულა. რატომ დაუ მთვარე ის არის, რაც არ გამაჩნია.

ჰელიკონი. მართალია, ეხლა როგორ არის საქმე?

კალიგულა. ვერ შევძელი მთვარის მოპოვება.

ჰელიკონი. დასანანია.

კალიგულა. ამიტომაც ვარ დაქანცული. (სიჩუმე). ჰელიკონ.

ჰელიკონი. გისმენ, კაიუს.

კალიგულა. შენ ალბათ ფიქრობ, რომ მე გავვიჟდი?

ჰელიკონი. კარგად იცი, რომ მე არაფერს არ ვფიქრობ. იმდენი ჭკუა კი მაქვს, რომ არ ვიფიქრო.

კალიგულა. არა, მე გიჟი არა ვარ. პირიქით, ასეთი ჭკვიანი არასოდეს ვყოფილვარ. უცებ, შეუძლებლის მოთხოვნილება გამიჩნდა (სიჩუმე). არსებული საგნები აღარ მაკმაყოფილებენ.

ჰელიკონი. ასეთი შეხედულება დიდი ხანია არსებობს.

კალიგულა. დიახ, მაგრამ წინათ მე ეს არ მესმოდა. ეხლა კი ვიცი, რომ (ისევ ძალდაუტანებლად) ეს სამყარო თავისი ჩვეული სახით ჩემთვის აუტანელია. ამიტომაც მჭირდება მთვარე, ბედნიერება, ან თუნდაც უკვდავება, ანდა შეიძლება, რაღაც გიჟური, მაგრამ არაამქვეყნიური.

ჰელიკონი. სწორი მსჯელობაა, მაგრამ ბოლომდე ვერ გაიზიარებ მაგ აზრს.

კალიგულა. (წამოდგება და ისევ ბუნებრივად განაგრძობს). შენ ამისი არაფერი გაგეგება. ბოლომდე რომ ვერ იზიარებენ ამ აზრს, იმიტომაც ჯერ ვერავინ ვერაფერს მიაღწია. იქნება, ლოგიკური საქციელი იყოს საკმარისი რამის მისაღწევად (უყურებს ჰელიკონს). ისიც ვიცი, რას ფიქრობ ჩემზე. რა აურზაური ავტეხე, არა, ერთი ქალის სიკვდილის გამო. სიკვდილი არაფერ შუაშია. დიახ, მახსოვს, რომ რამოდენიმე დღის წინ გარდაიცვალა ის ადამიანი, რომელიც მიყვარდა. მაგრამ რა არის სიყვარული? მცირე რამ. საყვარელი ქალის გარდაცვალებაც არაფერია, გეფიცები. მხოლოდ ესაა, რომ მთვარის სურვილი გამიჩინა. ეხლა

მთვარე ჩემთვის აუცილებელია. ეს ნათელი და მარტივი ჭეშმარიტებაა, ოდნავ სულელურიც კი, რომელიც ძნელად მისაგნებია და მძიმე ტვირთივით სატარებელი.

ჰელიკონი. რას წარმოადგენს ეს ჭეშმარიტება? კაიუს?

კალიგულა. (გულგრილად). იმას, რომ კაცი კვდება, მაგრამ ბედნიერი არ არის.

ჰელიკონი. მაგ ჭეშმარიტებას ყველა ეგუება. აბა, ერთი, შენს ირგვლივ გაიხედ-გამოიხედე. როგორც ჩანს, ეგ შენი ჭეშმარიტება არავის უშლის ხელს-თუნდაც პურის ჭამაში.

კალიგულა. (უცებ აფეთქდება). ეს იმიტომ, რომ ჩემს ირგვლივ მხოლოდ ტყუილია, მე კი მინდა, რომ ყველამ სიმართლით იცხოვროს. მე მაქვს უნარი, ხალხს ჭეშმარიტება შევაგნებინო. ვიცი, რაც აკლია ხალხს, ჰელიკონ. გონიერება აკლია ხალხს და ისეთი მასწავლებელი, რომელსაც ეცოდინება თავისი სათქმელი.

ჰელიკონი. არ გეწყინოს, კაიუს, მაგრამ შენ დასვენება გჭირდება.

კალიგულა. (წყნარად ჯდება). ეს შეუძლებელია, ეს უკვე შეუძლებელია.

ჰელიკონი. კი მაგრამ, რატომ?

კალიგულა. მე რომ დავიძინო, მთვარეს ვინ მომიტანს?

ჰელიკონი. (ცოტა ხნის შემდეგ). მართალია. (კალიგულა ძალისძალად დგება).

კალიგულა. ჰელიკონ, ნაბიჯების ხმა ისმის. სიტყვა არ დაგცდეს იმაზე, რაც გითხარი და დაივიწყე, რომ შეგხვდი.

ჰელიკონი. გასაგებია. (კალიგულა გადის, მერე მოიხედავს).

კალიგულა. და თუ შეიძლება, დღეის იქით, დამეხმარე კიდევ.

ჰელიკონი. უარს არ გეტყვი. მაგრამ იცი რა, მე ბევრი ვიცი და ცოტა რამ მაინტერესებს. რით შემიძლია დაგეხმარო?

კალიგულა. შეუძლებლის გაკეთებაში დამეხმარე.

ჰელიკონი. ძალიან ვეცდები.

კალიგულა გადის. სწრაფად შემოდინ სციპიონი და ცეზონია.

სცენა მეხუთე

სციპიონი. აქ არავინაა. ჰელიკონ, ხომ არ გინახავს?

ჰელიკონი. არა.

ცეზონია. ჰელიკონ, მართლა არაფერი დაგიბარა გაქცევამდე?

ჰელიკონი. მე მისი მესაიდუმლე კი არა, მაყურებელი ვარ. ეს უფრო ჭკვიანურია.

ცეზონია. გთხოვ, მართალი მითხრა.

ჰელიკონი. ძვირფასო ცეზონია, კალიგულა რომ იდეალისტია, ყველამ იცის, სხვანაირად რომ ვთქვათ, ჯერ ვერაფერი გაუგო ამ წუთისოფელს. ჩემთვის კი ამ ქვეყანაზე გაუგებარი უკვე არაფერია. ამიტომაც აღარაფერი მაინტერესებს. მაგრამ ჩემგან განსხვავებით, თუ კაიუსი გონს მოეგო, მისი გულის ამბავი რომ ვიცი, ალბათ ყველაფერს მიაწვდენს ხელს. ეს კი რა ფასად დაგვიჯდება, ერთმა ღმერთმა იცის. ეხლა მაპატიეთ, უნდა წავიდე, საუზმის დრო მოსულა. (გადის).

სცენა მეექვსე

ცეზონია უხალისოდ ჯდება.

ცეზონია. რომელიღაც მცველს უნახავს. თუმცა, რა გასაკვირია, მას ხომ მთელი რომი ხედავს, ხან სად და ხან სად. კალიგულა კი მხოლოდ თავის იდეას ხედავს.

სციპიონი. რა იდეას?

ცეზონია. აბა, მე რა ვიცი, სციპიონ?

სციპიონი. დრუზილა ხომ არ არის ეს იდეა?

ცეზონია. ვინ იცის. თუმცა, რატომაც არა, მას ხომ ძალიან უყვარდა დრუზილა. ო, რა ძნელია დაკარგო ის, ვისაც გულში იკრავდი ჯერ კიდევ გუშინ.

სციპიონი. (მორცხვად). აბა, შენ ვინლა გამოდიხარ?

ცეზონია. ვინ მე. მე მისი ძველი საყვარელი ვარ.

სციპიონი. ცეზონია, ჩვენ უნდა გადავარჩინოთ კალიგულა.

ცეზონია. მაშ, შენ გიყვარს კალიგულა?

სციპიონი. მიყვარს, კალიგულა მე ყოველთვის კეთილად მექცეოდა ხოლმე, მამხნევებდა. დღესაც მახსოვს ზოგიერთი მისი გამონათქვამი. კაიუსს არაერთხელ უთქვამს ჩემთვის, რომ ცხოვრება რთულია. და რომ მასთან გამკლავება შეიძლება მხოლოდ რელიგიით, ხელოვნების დახმარებით და სიყვარულის წყალობით. კაიუსი ამბობდა ხოლმე, რომ სხვისი დატანჯვით, მხოლოდ თავს მოიტყუებს კაცი. კაიუსს უნდოდა, მართალი ყოფილიყო.

ცეზონია. (წამოდგება). კალიგულა ჯერ კიდევ ბავშვია. (მიდის სარკესთან და ტკბება საკუთარი თავის ყურებით). მე ღმერთად ყოველთვის ჩემი სხეული მიმაჩნდა და დღეს სწორედ ამ ღმერთს შევთხოვ კაიუსის დაბრუნებას.

შემოდის კალიგულა. ცეზონიასა და სციპიონის დანახვაზე შეყოყმანდება და უკან იხევს. ამ დროს შემოვლენ პატრიციუსები და სასახლის ინტენდანტი. ისინი სახტად რჩებიან. ცეზონია მოიხედავს და სციპიონთან ერთად გარბის კალიგულასკენ. კალიგულა ხელის აქნევით აჩერებს მათ.

სცენა მეშვიდე

ინტენტანდი. (ყოყმანით). ჩვენუ ჩვენ გემუბდით, ცეზარ.

კალიგულა. (მოკლედ და შეცვლილი ხმით). ვხედავ.

ინტენდანტი. ჩვენუ ესე იგიუ

კალიგულა. (უხეშად). რა გნებავთ?

ინტენდანტი. ჩვენ ვღელავდით, ცეზარ.

კალიგულა. (მისკენ მიდის). რა უფლებით?

ინტენდანტი. მმუ (უცებ აზრი დაებადება). ხომ იცი, რამდენი რამ არის მოსაგვარებელი სახელმწიფო ხაზინაში.

კალიგულა. (სიცილით იგუდება). ხაზინაში? მართალია, მართალი, მთავარია ხაზინა.

ინტენდანტი. რა თქმა უნდა, ცეზარ.

კალიგულა. (სიცილით, ცეზონიას). ხაზინაა ხომ ყველაზე მთავარი, ძვირფასო?

ცეზონია. არა, კაიუს, ხაზინა მეორეხარისხოვანია.

კალიგულა. იმიტომ, რომ შენ ამაში ვერ ერკვევი. ხაზინა ფრიად საინტერესო რამ არის. და არა მარტო ხაზინა, ფინანსებიც, ზნეობაც, საგარეო პოლიტიკა, არმიის შეიარაღება, მეურნეობა, ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ყველაფერი მთავარია, გეუბნებით, და ყველაფერი ერთ ღერძს ეყრდნობა: რომიც და შენი ართრიტის შეტევებიც. დიახ, ყველაფერს უნდა მივხედოთ. ცოტა ხანი მომისმინეთ, ინტენდანტო.

ინტენდანტი. გისმენთ. (პატრიციუსები წინ წამოვლენ).

კალიგულა. შენ ხომ ჩემი ერთგული ხარ.

ინტენდანტი. (ნაწყენი ხმით). ცეზარ.

კალიგულა. მაშ, მომისმინე, ერთი გეგმა მაქვს. ჩვენ მთლიანად უნდა დავანგრიოთ პოლიტიკური ეკონომია, ეხლავე აგისსნი როგორუ ოლონდ პატრიციუსები უნდა გავიდნენ.

სცენა მერვე

კალიგულა ჯდება ცეზონიასთან.

კალიგულა. კარგად დამიგდეთ ყური. თავდაპირველად ყველა პატრიციუსმა, იმპერიის ყველა მცხოვრებმა, თუკი ვინმეს რამე ახადია, ცოტა თუ ბევრი, სულერთია, უნდა შვილებს წაართვას და სახელმწიფოს გადასცეს.

ინტენდანტი. კი მაგრამ, ცეზარ.

კალიგულა. მე შენთვის ლაპარაკის უფლება ჯერ არ მომიცია. საჭიროებისდა კვალობაზე ჩვენ ყველას მოვაკვლევინებთ, წინასწარ შედგენილი სიის მიხედვით. სიის გადახალისება ნებისმიერ დროს შეიძლება, თუ მოგვინდება, და ჩვენ მემკვიდრეები გავხდებით.

ცეზონია. (გაიწყეს). რას ამბობ?

კალიგულა. (წარბშეუხრელად). სულერთია რა თანამიმდევრობით დავსჯით ხალხს. ანუ, ვის როდის დავსჯით. სულერთია, მაშასადამე, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს თანამიმდევრობას. სხვათა შორის, ეს ადამიანები მაინც ერთნაირად დამნაშავეები არიან, იმასაც მიაქციეთ ყურადღება, რომ უფრო ზნეობრივია მოქალაქეთა აშკარა ძარცვა, ვიდრე პროდუქტების ფასების ჩუმიად მომატება, რამეთუ ყველამ კარგად უწყის, რომ მმართველობა ძარცვა-გლეჯვაა. თუმცა, გააჩნია ფორმას. მე მირჩევნია გულახდილად ვიქურდო. წვრილი ხელოსნები მოისპობიან. (უხეშად ინტენდანტს). შენ ამ ბრძანებას დაუყოვნებლივ შეასრულე. რომის მცხოვრებნი ამ სადამოსვე მოაწერენ ხელს ანდერძებს, ხოლო პროვინციელებს ერთი თვეც ეყოფათ საამისოდ. სასწრაფოდ დაგზავნე შიკრიკები.

ინტენდანტი. ცეზარ, შენ დაუფიქრებლად

კალიგულა. კარგად მისმინე, სულელი. შენთვის თუ ხაზინაა მთავარი, ადამიანთა სიცოცხლეს მნიშვნელობა აღარ უნდა ქონდეს. გასაგებია? შენნაირები სიცოცხლეს არაფრად არ უნდა აგდებდნენ, თქვენთვის ხომ ფულია ყველაფერი. მე გადავწყვიტე ლოგიკურად ვიმოქმედო, და რადგან ხელისუფლება ჩემს ხელშია, ნახავთ რა ფასად დაგიჯდებათ ლოგიკა. მე ამოვწყვეტ ჩემს მოწინააღმდეგეებს და აღმოვფხვრი წინააღმდეგობებს. და თუ საჭირო გახდა, შენით დავიწყებ.

ინტენდანტი. ცეზარ, გეფიცები, მე არაფერ შუაში ვარ.

კალიგულა. არც მე, დამერწმუნე. ამის დასამტკიცებლად ისიც იკმარებს, რომ ვიზიარებ შენს აზრს და სახალხო ხაზინაზე ვიწყებ ოცნებას. ბოლოს და ბოლოს, მადლობა მაინც მითხარი, რომ შენს თამაშში შემოვდივარ. (პაუზა, მერე მშვიდად). ჩემი გეგმა თავისი სისადავით გენიალურია, მორჩა და გათავდა. სამ წამს გაძლევ გასაქრობად. ვითვლი. ერთიუ (ინტენდანტი გადის).

სცენა მეცხრე

ცეზონია. მე შენ ვეღარ გცნობ. ალბათ ხუმრობ, ხომ?

კალიგულა. არც მთლად მასეა, უფრო ვპედაგოგობ.

სციპიონი. შეუძლებელია, კაიუს.

კალიგულა. მართლაც რომ.

სციპიონი. არ მესმის შენი.

კალიგულა. მართლაც, ლაპარაკია შეუძლებელზე, უფრო სწორად კი, შეუძლებლის შესაძლებლად ქცევაზე.

სციპიონი. მაგ თამაშს ბოლო არ ექნება. ეგ უფრო გიჟის გართობას ემგვანება.

კალიგულა. არა, სციპიონ, გიჟის გართობას კი არა, იმპერატორის ქველმოქმედებასუ (გადაქანდება დაღლილი სახით). ბოლოს და ბოლოს, გავიგე ძალაუფლების სარგებლიანობა. ძალაუფლება შეუძლებელს შესაძლებლად აქცევს. დღეიდან ჩემმა ძალაუფლებამ არ იცის საზღვარი.

ცეზონია. (სევდიანად). არ ვიცი. რამდენად სასიხარულოა ეს, კაიუს.

კალიგულა. არც მე ვიცი. მაგრამ მგონია, რომ დღეიდან სხვანაირი ცხოვრება აღარ შემიძლია (შემოდის ხერეა).

სცენა მეათე

ხერეა. გავიგე დაბრუნებულხარ. მე ვლოცულობდი შენი ჯანმრთელობისთვის.

კალიგულა. ჩემი ჯანმრთელობა მადლობას გიხდის. (პაუზა, მერე უცებ). ხერეა, წადი, არ მინდა შენი დანახვა.

ხერეა. მიკვირს, კაიუს.

კალიგულა. ნუ გიკვირს. მე არ მიყვარს ლიტერატორები და ვერ ვიტან მათ მონაჩმას. ლიტერატორები მარტო იმიტომ ლაპარაკობენ, რომ საკუთარ თავს ყური არ უგდონ. მოსმენა რომ შესძლებოდათ, ალბათ მიხვდებოდნენ, რომ არაფერს წარმოადგენენ და ლაპარაკსაც ვეღარ შესძლებდნენ. წადი, მეჯავრება ყალბი მოწმეები.

ხერეა. ლიტერატორები თუ ვტყუით, ანგარიშმიუცემლად. მე ვაცხადებ, რომ უდანაშაულო ვარ.

კალიგულა. ტყუილს ყოველთვის ცოდვა ახლავს თან. თქვენი სიცრუე ადამიანებს და საგნებს მნიშვნელობას ანიჭებს. აი, რისი პატიება არ შემიძლია.

ხერეა. და მაინც, წინ არ უნდა გადაველობოთ სამყაროს, ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ სამყაროს თუ გვსურს ამ ქვეყანაზე ცხოვრება.

კალიგულა. არ ჭირდება სამყაროს შენი გამოქომაგება. მისი საქმე უკვე გადაწყვეტილია. ეს ქვეყანა უმნიშვნელოა. ვინც ამას შეიგნებს, თავისუფლებასაც ის მოიპოვებს. (დგება). მე თქვენ მეზიზღებით, იმიტომ, რომ მონური სული გამოძრავებთ. მთელ რომის იმპერიაში მარტო მე გახლავართ თავისუფალი. გიხაროდეთ, როგორც იქნა, გედირსათ ისეთი იმპერატორი, რომელიც თავისუფლებას შეგასწავლით. წადი, ხერეა, შენც, სციპიონ, მეგობრობა სიცილს მგვრის. წადით, მოახსენეთ რომს, რომ მას თავისუფლება დაუბრუნდა. ამასთან ერთად, დიდი გამოცდისათვის მოგიწევთ მზადება. (გადიან). (კალიგულა მოტრიალდება).

სცენა მეთერთმეტე

ცეზონია. შენ ტირი?

კალიგულა. ვტირი, ცეზონია.

ცეზონია. ბოლოს და ბოლოს, რა შეიცვალა? მართალია, შენ დრუზილა გიყვარდა, მაგრამ მაშინ ხომ მეც გიყვარდი და კიდევ ბევრი სხვაც. მე მგონია, რომ მარტო დრუზილას სიკვდილის გამო არ იყავი სამი დღით დაკარგული. ან ეგ შენი მტრული გამომეტყველება რას ნიშნავს?..

კალიგულა. (მოტრიალდება). ვინ გითხრა, რომ დრუზილას გამო მოხდა ეს ყველაფერი, სულელო? ნუთუ, არ შეგიძლია წარმოიდგინო, რომ კაცს მარტო სიყვარულზე კი არა, სხვა რამეზეც შეუძლია იტიროს?

ცეზონია. მაპატიე, კაიუს, მე ვცდილობ, რომ მიგიხვდე.

კალიგულა. კაცი იმიტომ ტირის, რომ საგნები არ არიან ისეთები, როგორებიც უნდა ყოფილიყვნენ. (ქალი მისკენ წაიწევს). თავი დამანებე, ცეზონია. (ქალი უკან იხევს) თუმცა, დარჩი ჩემთან ახლოს.

ცეზონია. როგორც შენ გინდა, ისე მოვიქცევი. (ჯდება). ჩემს ასაკში ყველამ იცის, რომ ცხოვრება დიდი არაფერია. მაგრამ თუ სიბოროტე ისედაც არსებობს დედამიწაზე, რატომ დავუმატოთ მას რამე?

კალიგულა. მაინც ვერ გავიგე. არაუშავს. შეიძლება მოვნახო გამოსავალი, მაგრამ, მე ვგრძნობ, როგორ ირევინ ჩემში უსახელო არსებები. რა ვუყოთ ამ უსახელო არსებებს? (მიუტრიალდება ცეზონიას). ოჰ, ცეზონია, მე ვიცოდი, რომ არსებობდა სასოწარკვეთა, მაგრამ არ მესმოდა ამ სიტყვის მნიშვნელობა. მეც სხვებივით ვფიქრობდი, რომ ეს სულის ტკვილი იყო. მაგრამ არა, შევცდი, თურმე სხეულის ტკვილი ყოფილა. ყველაფერი მტკივა: კანი, ხელები, ფეხები, გულმკერდი, თავი დამიცარიელდა, გული მერევა. პირში საზიზღარი გემო მაქვს. ეს არც მარტო სისხლისღვრაა, არც მარტო სიკვდილი, არც ციებ-ცხელება,-ყველაფერი ეს ერთად ახლავს ჩემს სასოწარკვეთას. საკმარისია ენა მოვატრიალო პირში, რომ ყოველივე შავბნელი გახდეს და ადამიანები შემზიზღდნენ. რა მძიმეა და რა ძნელი კაცად გახდომა.

ცეზონია. შენ უნდა დიდი ხნით დაიძინო, მოეშვა და ფიქრს თავი დაანებო. მე, ჩემდა თავად, ვეცდები, რომ შენი ძილი უშფოთველი იყოს. როცა გამოიღვიძებ, ქვეყანა ძველებურ იერს მიიღებს შენთვის. მაშინ კი უნდა ეცადო, რომ მთელი ძალაუფლება ჭეშმარიტად არსებულს მოახმარო. შესაძლებელსაც ხომ უნდა მიეზღოს თავისი წილი იღბალი.

კალიგულა. ამისათვის ხომ ძილი და თავდადებაა საჭირო. ეს კი შეუძლებელია.

ცეზონია. ასე ჰგონიათ ხოლმე გადაღლილ ადამიანებს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ძლიერი ხელი ისევ აღორძინდება.

კალიგულა. მაგრამ, ხომ უნდა ვიცოდეთ, რას შესწვდეს ეს ხელი, რას მიშველის ძლიერი ხელი, ან ეს საკვირველი ძალაუფლება, თუ საგანთა რიგს ვერ შევცვლი, თუ ვერ შევძლებ, რომ მზე აღმოსავლეთში ჩავიყვანო, რომ ტანჯვა შევამცირო და რომ ადამიანები აღარ

იხოცებოდნენ? არა, ცეზონია, გინდა იძინე, გინდა იფხიზლე, აზრი არა აქვს, თუკი ვერ შეძლებ ქვეყანაზე ზემოქმედებას.

ცეზონია. ეგ ხომ ღმერთთან გატოლება გამოდის. ამაზე მეტი სიგიჟე ჯერ არ გამიგონია.

კალიგულა. შენც გიჟი გგონივარ. მერედა, რას წარმოადგენს ღმერთი, რომ მასთან გატოლება მინდოდეს? რაც მე დღეს მსურს მთელი ჩემი ძალღონით, ღმერთებსაც აღემატება. მე მძიმე ტვირთად ვიკიდებ ისეთ სამეფოს, სადაც იმეფებს შეუძლებელი.

ცეზონია. შენ ვერ შეძლებ, რომ ცა აღარ იყოს ცა, რომ ლამაზი სახე დამახინჯდეს, რომ ადამიანის გული გაქვავდეს.

კალიგულა. (თანდათან უფრო განერვიულდება). მე ცას ზღვაში გავურევ, სიმახინჯეს სილამაზესთან შევასისხლხორცებ, ტანჯვიდან კი სიცილს გამოვაჟონინებ.

ცეზონია. (თავზე დაადგება და ევედრება). კარგი და ცუდი, დიდი და მცირე, სიმათლე და უსამართლობა, გეფიცები, მაინც იარსებებს ამ ქვეყანაზე.

კალიგულა. (მაინც) მე კი მსურს, რომ მოისპოს. ამ საუკუნეს გათანაბრების უნარი უნდა შეეძინო, და როცა ყველაფერი გასწორდება და შეუძლებელი დამკვიდრდება დედამიწაზე, ალბათ მეც შევიცვლები და ჩემთან ერთად სამყაროც. მაშინ კი აღარ მოკვდება ადამიანი, მაშინ კი ყველა იქნება ბედნიერი.

ცეზონია. (ყვირილით). შენ ვერ შეძლებ სიყვარულის უარყოფას.

კალიგულა. (ფეთქდება და გაცოფებული). სიყვარული, ცეზონია, (მხრებში ჰკიდებს ხელს და დრეკს) მე მივხვდი, რომ ეს არაფერი ყოფილა. სხვა რამ უფრო ჭეშმარიტია, სახალხო ხაზინა, მაგალითად. კარგად გაიგონე, არა? ყველაფერი აქედან იწყება. მე მხოლოდ ეხლა ვიწყებ ცხოვრებას. ცხოვრება, ცეზონია, სიყვარულს უარყოფს. კიდევ ერთხელ გეუბნები ამას და გეპატიჟები უსაზღვრო დღესასწაულზე, დიდ პროცესზე, სპექტაკლთა შორის ყველაზე მშვენიერზე. საამისოდ კი მჭირდება ხალხი, მაყურებელი, მსხვერპლი, დამნაშავე. (დაჰკრავს გონგს და განაგრძობს).

შემოიყვანეთ დამნაშავეები. მე მჭირდება დამნაშავენი. თქვენ ყველა დამნაშავეები ხართ. (განაგრძობს გონგზე დარტყმას). მე მსურს შემოიყვანონ სიკვდილმისჯილები. ხალხი, ხალხი მინდა. შემოიყვანეთ მოსამართლეები, მოწმეები, ბრალდებულნი. ყველანი წინასწარ არიან უკვე მსჯავრდადებულნი. მე მათ ვაჩვენებ ჯერ არნახულ სანახაობას, მე, იმპერიის ერთადერთი თავისუფალი კაცი.

(გონგის ხმაზე თანდათან ახლოვდება ხმაური, ისმის იარაღის ჟღარუნის, ნაბიჯების ხმა. დადიან ბარბაცით. კალიგულა იცინის და აგრძელებს გონგზე დარტყმას). ცეზონია, უნდა დამემორჩილო, უნდა დამეხმარო, კარგი იქნება, თუ დამეხმარები. შემომფიცე, რომ დამეხმარები, ცეზონია.

ცეზონია. (დაბნეული. გონგის პაუზებს შორის). რა საჭიროა ფიცი, მე ხომ შენ მიყვარხარ.

კალიგულა. (აგრძელებს). შენ გააკეთებ ყველაფერს, რასაც მე გეტყვი.

ცეზონია. (იმავე ტონით). ყველაფერს, კალიგულა, მაგრამ, გთხოვ, შეწყვიტო გონგზე დარტყმა.

კალიგულა. (აგრძელებს). შენ იქნები ულმობელი.

ცეზონია. (ტირილით). ულმობელი.

კალიგულა. (ისევე). ცივი და დაუნდობელი.

ცეზონია. დაუნდობელი.

კალიგულა. (ისევე). შენ დაიტანჯები.

ცეზონია. თანახმა ვარ, ოღონდ უკვე ვგიჟდები.

(შემოდინან გაოგნებული პატრიციუსები და სასახლის ხალხი. კალიგულა საბოლოოდ ჩამოჰკრავს გონგს, მალლა წევს ჩაქუჩს, მიუბრუნდება ხალხს და თავისკენ უხმობს).

კალიგულა (უაზროდ). აქ მოდით ყველა, აქ. გიბრძანებთ, მომიახლოვდით. (ფეხებს აბაკუნებს). იმპერატორი მოითხოვს, რომ მიუახლოვდეთ. (ყველა შიშით უახლოვდება.) ჩქარა მოდით, ჩქარა მეთქი, ეხლა კი, შენც მოდი, ცეზონია. (ხელს ჰკიდებს ცეზონიას, მიყავს სარკესთან და ჩაქუჩს უსვამს სარკეს, იცინის.) აღარაფერია, იცი რა დარჩა? აღარაფერი დარჩა, ხედავ, აღარც მოგონებები, ყველა სახე ერთბაშად გაქრა. არაფერი, იცი რა დარჩა? მოდით აქეთ, შეხედეთ. (გიჟურ პოზაში დგება სარკის წინ.)

ცეზონია. (სარკის წინ.) კალიგულა. (კალიგულა იცვლის ტონს, თითოს ადებს სარკეს და, ერთ წერტილს მიშტერებული, საზეიმო ხმით ამბობს.)

კალიგულა. კალიგულა.

ფარდა

მეორე მოქმედება

პატრიციუსებმა ხერეას ბინაზე მოიყარეს თავი.

პირველი პატრიციუსი. ის შეურაცხყოფს ჩვენს ღირსებას.

მუციუსი. სამი წელია უკვე.

ხნიერი პატრიციუსი. ის მე დამცინის, დედაკაცს მიწოდებს. უნდა მოკვდეს.

მუციუსი. სამი წელია უკვე.

ხნიერი პატრიციუსი. ყოველ საღამოს, სეირნობის ჟამს, თავისი ტახტრევანის გარშემო გვარბენინებს.

მეორე პატრიციუსი. სირბილი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოაო.

მუციუსი. სამი წელია უკვე.

ხნიერი პატრიციუსი. ამის პატიება არ შეიძლება.

მესამე პატრიციუსი. შეუძლებელია ამის პატიება.

პირველი პატრიციუსი. პატრიციუს, შენ ქონება ჩამოგართვა, სციპიონ, შენ მამა მოგიკლა. ოქტავიუს, შენ ცოლი მოგტაცა და საროსკიპოში გააქანა, ლეპიდუს, შვილი მოგიკლა. კიდეც აპირებთ მოთმენას? მე, პირადად, უკვე გავაკეთე არჩევანი. ვიცი, საფრთხე მომელის, მაგრამ ამ შიშით და უძლურებით სავსე ცხოვრებას რომ ვუყურებ, ყოყმანი აღარ შემიძლია.

სციპიონი. მამა მომიკლა და ამით უპირატესობა მომანიჭა.

პირველი პატრიციუსი. თქვენ კიდეც ვერ გადაგიწყვეტიათ?

მესამე პატრიციუსი. ყველანი შენთან ვართ. ყველა სიკეთესთან ერთად, ჩვენი ადგილები ამფითეატრში ხალხს დაურიგა, გვაიძულა პლებეებს შევჯახებოდით, აი, რა სასჯელი გამოგვიგონა.

ხნიერი პატრიციუსი. ლაჩარი.

მეორე პატრიციუსი. უტიფარი.

მესამე პატრიციუსი. პამპულა.

ხნიერი პატრიციუსი. ცვედანი.

მეოთხე პატრიციუსი. სამი წელია უკვე პარპაშობს.

გაურკვეველი ხმაური. იარაღასხმული ხალხი. ჩირაღდანი ვარდება. მაგიდა ყირავდება. ყველა გასასვლელისკენ გარბის. შემოდის ხერეა მშვიდი სახით და ყველას აშოშმინებს.

სცენა მეორე

ხერეა. საით გარბოდით?

მესამე პატრიციუსი. სასახლისკენ.

ხერეა. მივხვდი, როგორ გგონიათ, შეგიშვებენ სასახლეში?

პირველი პატრიციუსი. ნებართვის აღებას არც ვაპირებდით.

ხერეა. ეს საქმე არც ისე ადვილია, თქვენ რომ გგონიათ, ჩემო მეგობრებო: ჯერ ერთი, ძალიან ხართ დაშინებული, სიმამაცე და ნებისყოფა თქვენ არ გაგაჩნიათ. შიში მათ მაგივრობას ვერ გაგიწევთ.

მესამე პატრიციუსი. შენ თუ ჩვენ მხარეზე არა ხარ, გაგვეცალე მაინც, ოღონდ, ენას კბილი დააჭირე.

ხერეა. მე კი მგონია, რომ თქვენსკენ ვარ მხოლოდ არა იმავე მიზეზით, თქვენ რომ შეგაკავშირათ.

მესამე პატრიციუსი. გეყოს სიტყვების რახა-რუხი.

ხერეა. (წამოდგება). მართალია, კმარა ლაყბობა. მე მინდა, ბოლომდე გავარკვიო ყველაფერი. თქვენ მხარეზე კი ვარ, მაგრამ არ გემხრობით. მე თოდი არ მომწონს. თქვენ ჯერ ვერ შეგიცნიათ ჭეშმარიტი მტერი. მცირედზე საყვედურობთ, მის დიდ ნაკლზე კი თვალს ხუჭავთ. აშკარად თავს ილუპავთ. ჯერ შესძელით მისი სწორად დანახვა, მერე კი შეებრძოლეთ.

მესამე პატრიციუსი. ისეთსა ვხედავთ, როგორც არის-ტირანთა შორის ყველაზე გიჟი.

ხერეა. არც მასეა. გიჟ იმპერატორებს კარგად ვიცნობთ. კალიგულა მთლად გიჟიც არ არის. მე ყველაზე უფრო ის მძულს მასში, რომ იცის რა უნდა.

პირველი პატრიციუსი. მას ჩვენი სიკვდილი უნდა.

ხერეა. ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ კალიგულა თავის ძალაუფლებას ძალიან მაღალ და სიკვდილივით ძლიერ გრძნობას უმორჩილებს. ის ჩვენ ადამიანურ სიღრმეებს უფრო ემუქრება. პირველად არ ხდება, რომ კაცს უსაზღვრო ძალაუფლება გააჩნია, მაგრამ ნამდვილად პირველად არის, რომ ამ ძალაუფლებას უსაზღვროდ იყენებენ. და ამიტომ კაციც და სამყაროც უარყოფილია. აი, რა მაშინებს კალიგულაში და რას მინდა შეეებრძოლო.

სიცოცხლე ჩირადაც არ მიღირს, და, როცა კი საჭირო გახდება, მზად ვარ შეველიო კიდევაც. აუტანელია უყურო, როგორ ეკარგება სიცოცხლეს აზრი და როგორ ქრება ჩვენი ყოფნის არსი. არსებობას აზრი უნდა ჰქონდეს.

პირველი პატრიციუსი. შურისძიება დაბადებს აზრს.

ხერეა. სწორეა და მეც მონაწილე ვიქნები მაგ შურისძიებისა. მაგრამ გახსოვდეთ, თქვენი წვრილმანი დამცირების საზღაური არ უნდა იყოს. მე მინდა შევებრძოლო დიდ იდეას, რომლის გამარჯვებაც ქვეყნიერების აღსასრულის მომასწავებელი იქნებოდა. შემიძლია დავუშვა, რომ თქვენ დაგცინონ, იმას კი ვერ დავუშვებ, რომ კალიგულამ თავისი ოცნებები აისრულოს. მან ფილოსოფია ცხედრად აქცია. ჩვენდა საუბედუროდ მისი ფილოსოფია შეუვალია. დარტყმას მაშინ უნდა მივმართოთ, როცა სხვანაირად შეუძლებელია მტრის უკუგდება.

მესამე პატრიციუსი. მაშ ვიმოქმედოთ.

ხერეა. ვიმოქმედოთ. მაგრამ თუ პირდაპირ იერიშს მიიტანთ, ამ უსამართლო ძალაუფლების დამხობას ვერ შეძლებთ, რადგან ის საკმაოდ ძლიერია. ტირანიის დამხობა შეიძლება, ოღონდ მოქნილობაა საჭირო. კალიგულას უნდა მიეცეს გასაქანი, და მანამდე უნდა ვიცადოთ, სანამ მისი ლოგიკურობა უტვინობაში არ გადაიზრდება. გულწრფელად გეუბნებით, თქვენთან მხოლოდ დროებითა ვარ. მომავალში თქვენს ინტერესებს ველარ გავიზიარებ. მე მსურს მოვიპოვო სიმშვიდე ხელმეორედ გაწონასწორებულ ქვეყნიერებაზე. არ იფიქროთ, რომ პატივმოყვარეობა მამოძრავებს. არა, მე ძლიერ მეშინია იმ არაადამიანური რომანტიკისა, რომლის გვერდითაც ჩემი ცხოვრება აზრს კარგავს.

პირველი პატრიციუსი. (წინ წამოვა). მგონი გავიგე, ან თითქმის გავიგე. მთავარი ის არის, რომ ჩვენი არ იყოს, შენც მიგაჩნია, რომ ამ საზოგადოებას ძირი მოერყა. ჩვენთვის ეს პირველ რიგში ზნეობაში გამოიხატა. ოჯახი შეირყა, საქმის პატივისცემა დაიკარგა, სამშობლო გაკილვის საგნად იქცა. სიკეთეს გადარჩენა ჭირდება. გვაქვს უფლება წაყრუებისა? შეთქმულნო, კიდეც ირბენთ სადამოშობით ცეზარის ტახტრევანის გარშემო?

ხნიერი პატრიციუსი. კიდეც მისცემთ უფლებას, რომ დედაკაცები გვიწოდონ?

მესამე პატრიციუსი. რომ ცოლები მოგვტაცონ და ბავშვები წაგვართვან?

მუციუსი. რომ ფული წაგვგლიჯონ?

მეხუთე პატრიციუსი. არა.

პირველი პატრიციუსი. ყოჩაღ, ხერეა, კარგად ილაპარაკე. ისე კარგად, რომ ყველა დამშვიდდა. მართლაც ნაადრევია მოქმედება. ხალხი ჩვენი წინააღმდეგი იქნება. მოდი, გინდა, ერთად დავუცადოთ ხელსაყრელ მომენტს?

ხერეა. თანახმა ვარ. მივუშვათ თავის ნებაზე კალიგულა. ვუცადოთ, რომ არჩეულ გზას არ გადაუხვიოს, ხელი შევუწყოთ მის გაგვიტყუებას. ერთ მშვენიერ დღეს კალიგულა მარტო აღმოჩნდება გვამებითა და გვამების ჭირისუფლებით ავსებული იმპერიის პირისპირ.

საერთო ჟივილ-ხივილი. საყვირების ხმაური. სიჩუმე. შემდეგ კი სათითაოდ წარმოთქმული სიტყვა-კალიგულა.

სცენა მესამე

შემოდინ კალიგულა და ცეზონია ჰელიკონისა და ჯარისკაცების თანხლებით. მუნჯური სცენა. კალიგულა უყურებს შეთქმულებს. სათითაოდ ჩერდება მათ წინაშე, ერთს დალაღს გადაუწევს. შემდეგ უკან იხევს და ყველას ერთად უყურებს. თვალს მოიფშვინებს და სიტყვის უთქმელად გადის.

სცენა მეოთხე

ცეზონია. (ირონიით). ჭიდაობდით?

ხერეა. ვჭიდაობდით.

ცეზონია. (იგივე ტონით). რატომ?

ხერეა. ისე.

ცეზონია. ცრუობ.

ხერეა. რატომ ვცრუობ?

ცეზონია. არ ჭიდაობდით.

ხერეა. მაშასადამე, არ ვჭიდაობდით.

ცეზონია. ხომ არ აჯობებდა, ოთახი დაგელაგებინათ? კალიგულა ვერ იტანს არეულობას.

ჰელიკონი. (ხანშიშესულ პატრიციუსს). იმდენს იზამთ, კალიგულას მოთმინებიდან გამოიყვანთ.

ხნიერი პატრიციუსი. რა დავუშავეთ?

ჰელიკონი. საქმეც ისაა, რომ არაფერი. პირდაპირ წარმოუდგენელია თქვენი უსახურობა. ბოლოს და ბოლოს, აუტანელი ხდება თქვენი საქციელი. აბა წარმოიდგინეთ თავი კალიგულას ადგილზე. (პაუზა). შეთქმულებას ხომ არ აპირებდით?

ხნიერი პატრიციუსი. თქვენ სცდებით. კალიგულას როგორ ჰგონია?

ჰელიკონი. კი არ ჰგონია, იცის, მაგრამ მგონი, სულის სიღრმეში თვითონაც ასე უნდა. მოდით დავალაგოთ აქაურობა.

საქმიანობენ, კალიგულა შემოდის და უყურებს.

სცენა მრხუთე

კალიგულა. (ხანშიშესულ პატრიციუსს). გამარჯობა, ლამაზო ქალო. (სხვებს). ხერეა, გადავწყვიტე შენს ბინაში წავისაუზმო, მუციუს. თავს უფლება მივეცი, შენი ცოლი მომეწვია. (ინტენდანტი ტაშს შემოჰკრავს. შემოდის მონა, კალიგულა აჩერებს). გაჩერდით ერთ წამს, ბატონებო, მოგეხსენებათ, რომ სახელმწიფო ფინანსები ინერციითა არსებობს. იძულებული ვარ სასახლის პერსონალი შევამცირო, მსხვერპლად გავიღე სასახლის ხელგაშლილობა, რასაც, იმედია, აფასებთ. დავითხოვე რამოდენიმე მონა და თქვენ გდებთ პატივს მომემსახუროთ. შეგიძლიათ გაშალოთ მაგიდა. (სენატორები ერთმანეთს გადახედავენ).

ჰელიკონი. აბა, ბატონებო, მეტი მონდომებით. თქვენ ნახავთ, რომ სოციალურ კიბეზე დაშვება უფრო ადვილია, ვიდრე ასვლა. (სენატორები ყოყმანობენ).

კალიგულა. (ცეზონიას). რა სასჯელია ზარმაცი მონებისათვის დაწესებული?

ცეზონია. მე მგონი, მათრახი. (სენატორები გაქანდებიან და მოუხერხებლად შლიან მაგიდას).

კალიგულა. მეტი მონდომება გმართებთ. აზრიანად, აზრიანად იმოქმედეთ, ბატონებო. (ჰელიკონს). ხელები ხომ არ მოძვრათ ამ ბატონებს?

ჰელიკონი. მართალი თუ გნებავთ, ამათ ხელები არასოდეს ჰქონიათ. მარტო დასარტყმელად და ბრძანების გასაცემად უჩნდებოდათ ხოლმე ხელები. დიდი მოთმინებაა საჭირო. სენატორად გახდომას თუ ერთი დღე ჰქირდება, მუშად ქცევას კარგა ათი წელი უნდა.

კალიგულა. მე კი მგონია, ოცი წელია საჭირო, სენატორიდან მუშა რომ დადგეს.

ჰელიკონი. ამათ უყურე, ასე თუ ისე, მოახერხეს მაგიდის გაშლა. ჩემი აზრით, რაღაც მისწრაფებაც კი ჰქონიათ ამ საქმეში. მსახურობა ზედგამოჭრილი ყოფილა მაგათთვის. (ერთი სენატორი ოფლს იწმენდს). შეხედე, ოფლის სუნიც კი უდით. ჯერ სადა ხართ.

კალიგულა. კმარა. მეტისმეტსაც ნუ მოვითხოვთ, არც ისე ცუდად იმუშავეს. წამიერი სამართლიანობა, სხვა თუ არაფერი, კარგი საქმეა. მართლა, ხსენებაზე. ვიჩქაროთ, სიკვდილით დასჯას უნდა მივხედოთ. რუფიუსს ბედი ჰქონია, რომ ასე მალე მომშვივდა. რუფიუსი ის ბატონი გახლავთ, რომელიც უნდა მოკვდეს. (პაუზა) არ მეკითხებით, რატომ უნდა მოკვდეს? (სიჩუმე. ამასობაში მონებმა საქმელი მოიტანეს, კალიგულა მხიარულად განაგრძობს) ვხედავ თქვენ თანდათან დაჭკვიანებულხართ. (ღეჭავს ზეთისხილს). როგორც იქნა, მიხვდით, რომ სიკვდილით დასჯისათვის აუცილებელი არ არის რამე დაამავო. ჯარისკაცებო, მე თქვენით კმაყოფილი ვარ. არა, ჰელიკონ? (თავს ანებებს ზეთისხილს და დამცინავად უყურებს სტუმრებს).

ჰელიკონი. რა თქმა უნდა. ჯარიც ასეთი უნდა. მაგრამ, თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, ზედმეტად დაჭკვიანდნენ შენი მეომრები, მეტს აღარ მოინდომებენ ბრძოლას. ასე თუ განაგრძეს, იმპერია დაემხოება.

კალიგულა. კეთილი. შევისვენოთ. მივინდოთ ბედს. არ გვინდა ყველაფრის აღნუსხვა. არა, ამ რუფიუსს მართლა ბედი ჰქონია. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ის პატარა შეყოვნებას ვერ აფასებს. თუმცა, ნამდვილად დიდი რამ არის, რომ სიკვდილს რამოდენიმე საათი მოჰპარო. (კალიგულა ჭამს. სხვებიც ბამბავენ. კალიგულა უტიფრად იქცევა სუფრასთან. ზეთისხილის კურკებს მეზობლის თევშებში ყრის, ხორცის ნარჩენებს იფურთხება, კბილებს ფრჩხილებით ისუფთავებს და თავს იქექავს, ყველაფერს ამას ბუნებრივად აკეთებს. უცებ გაჩერდება და დაჟინებით მიაშტერდება ლეპიდუსს.) (უხეშად) ცუდ გუნებაზე ხარ? იმიტომ ხომ არა, რომ შენი შვილი მოვაკვლევინე?

ლეპიდუსი. (დაძაბული). არა, კაიუს, პირიქით.

კალიგულა. (გაბადრული) პირიქით. როგორ მომწონს, რომ სახე გულის დარდებს არ იმჩნევს. შენი პირისახე ნაღვლიანია. გული? გული კი, პირიქით, არა, ლეპიდუს?

ლეპიდუსი. (გადაჭრით). პირიქით, ცეზარ.

კალიგულა. (უფრო ბედნიერი) ოჰ, ლეპიდუს, შენებრ ძვირფასი არავინა მყავს. ერთად ვიცინოთ, გინდა? მოყევი რამე კარგი ამბავი.

ლეპიდუსი. (ვერ ზომავს თავის ძალებს) კაიუს.

კალიგულა. კარგი, კარგი, მაშინ მე მოგიყვები. შენ კი გაიცინე... კარგი? ლეპიდუს, (ბოროტი მზერით) შენი მეორე ვაჟის ხათრით (იცინის). მაშასადამე, შენ ცუდ ხასიათზე არა ხარ (სვამს, მერე კარნახობს) ჰი... ჰი... მიდი, ლეპიდუს.

ლეპიდუსი. (დაღლილი) პირიქით, კაიუს.

კალიგულა. ძლივს. (სვამს). მომისმინე (მეოცნებე იერით): იყო ერთი საწყალი იმპერატორი, რომელიც არავის უყვარდა. ლეპიდუსის სიყვარული რომ ამოეღო გულიდან, იმპერატორმა მოაკვლევინა მისი უმცროსი ვაჟი. (იცვლის ტონს) ცხადია, ეს ტყუილია. სასაცილოა, არა? შენ კი არ იცინი. არავინ იცინის? მაშ მომისმინეთ (ძლიერი რისხვით). მე მინდა ყველა იცინოდეს. შენც, ლეპიდუს, და სხვებიც. ადექით და გაიცინეთ. (მაგიდაზე აბრაზუნებს). მე მინდა, გესმით თუ არა, მე მინდა, გაიცინოთ. (ყველა დგება. ამ სცენაში, კალიგულას და ცეზონიას გარდა, მსახიობებმა შეიძლება ითამაშონ თოჯინებით. კალიგულა ლოგინზე გადავარდება და სიცილისგან იგუდება), შეხედე ამათ, ცეზონია, ამაზე უკეთესს ვერაფერს ნახავ. აღარც პატიოსნებას, აღარც ღირსებას და ერის გონებას ჰქონია აზრი. შიშის პირისპირ ყველაფერი ქრება. შიში, ცეზონია, მშვენიერი, გამორჩეული გრძნობაა, სუფთა და უანგარო, უიშვიათესი გრძნობა, რომელსაც მუცლიდან დაჰყვება კეთილშობილება. (შუბლზე ხელს გადაისვამს და სვამს. შემდეგ შინაურულად განაგრძობს), ეხლა სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. ხერეა, შენ რაღაც ჩუმად ხარ.

ხერეა. მზად ვარ, ხმა ამოვიღო, კაიუს, როგორც კი ნებას დამრთავ.

კალიგულა. ძალიან კარგი. მაშ, გაჩუმდი. მირჩევნია შენს მეგობარ მუციუსს ვუსმინო.

მუციუსი. (ძალდატანებით). ბატონი ბრძანდებით, კაიუს.

კალიგულა. მაშ, რაკი ასეა, შენს ცოლზე გველაპარაკე. მანამდე კი უბრძანე, მარცხნივ დამიჯდეს. (მუციუსის ცოლი მიდის კალიგულასკენ). დაიწყე, მუციუს. გისმენთ.

მუციუსი. (ოდნავ დაბნეული). მე მიყვარს ჩემი ცოლი. (სიცილი).

კალიგულა. გიყვარს, მეგობარო, მაგრამ ეგ ისეთი გაცვეთილი გრძნობაა (ხელს მოხვევს მუციუსის ცოლს და მხარზე ლოშნის). მე რომ შემოვვები, თქვენ შეთქმულებას აწყობდით, არა? ინიღბებოდით?

ხნიერი პატრიციუსი. კაიუს, რას ამბობ...

კალიგულა. შენ გაჩუმდი, ლამაზო ქალო, აზრი არა აქვს შენს ლაპარაკს. რა ბებრების საქმეა შეთქმულება. თქვენისთანა მიხრწნილებს სადა აქვთ გმირობის თავი. კინალამ დამავიწყდა, რომ სახელმწიფო საქმეები მაქვს მოსაგვარებელი, მანამდე კი, თავისი მივაგოთ ბუნებრივ მოთხოვნილებებს. (დგება და მუციუსის ცოლი გაჰყავს მეზობელ ოთახში).

სცენა მეექვსე

ცეზონია. (თავაზიანად) მუციუს, კიდევ მინდა ეს საუცხოო ღვინო.

(მუციუსი მდუმარედ მიართმევს, ყველა უხერხულად გრძნობს თავს. ისმის სკამების ჭრაჭუნნი).

ცეზონია. ხომ არ მეტყვი, რაზე ჩხუბობდით, ამ ცოტა ხნის წინ?

ხერეა. (ცივად) ყველაფერი იმით დაიწყო, ძვირფასო ცეზონია, რომ ვკამათობდით პოეზიაზე. გვანტერესებდა: მომაკვდინებელი უნდა იყოს თუ არა პოეზია.

ცეზონია. ძალიან საინტერესოა.

ხერეა. კალიგულას ხშირად უთქვამს ჩემთვის, რომ არ არსებობს დიდი გრძნობა დაუნდობლობისა და გულქვაობის გარეშე.

ჰელიკონი. არც სიყვარული-გაუპატიურების გარეშე.

ცეზონია. (ჭამს) მაგ ნათქვამში არის სიმართლის ნიშანწყალი. სხვები როგორღა ფიქრობთ?

ხნიერი პატრიციუსი. კალიგულა დიდი ფსიქოლოგია.

პირველი პატრიციუსი. მჭევრმეტყველურად გველაპარაკა მამაცობაზე.

მეორე პატრიციუსი. კალიგულა ფასდაუდებელ საქმეს გააკეთებს, თუ ყველა თავის იდეას შეკრებს.

ხერეა. თან გაერთობა კიდევ. ეს ხომ აშკარაა, რომ კალიგულას გაერთობა ჭირდება.

ცეზონია (განაგრძობს ჭამას) გიხაროდეთ, კალიგულამ უკვე იფიქრა ამაზე და წერს კიდევაც დიდ ტრაქტატს.

სცენა მეშვიდე

შემოდინან კალიგულა და მუციუსის ცოლი.

კალიგულა. მუციუს, გიბრუნებ ცოლს. უკვე შეუძლია, შენთან წამოვიდეს. ბოდიშს ვიხდი, უნდა დაგტოვოთ, რაღაც მითითება მაქვს მისაცემი. (სწრაფად გადის, მუციუსი გაფითრებული დგას).

სცენა მერვე

ცეზონია. (ფეხზე მდგარ მუციუსს) კალიგულას ტრაქტატი რომ ყველა ცნობილ შრომას აჯობებს, ჩვენ ამაში ეჭვი არ გვეპარება, მუციუს. (მუციუსი იქით ყურება, საიდანაც კალიგულა გავიდა).

მუციუსი. რაზე წერს ტრაქტატში?

ცეზონია. (გულგრილად) ტრაქტატის აზრს მე ბოლომდე ვერ ჩავწვდი.

ხერეა. როგორც ირკვევა, პოეზიის მომაკვდინებელ ძალაზე ყოფილა ეგ ნაშრომი.

ცეზონია. მეც მასე მგონია.

ხნიერი პატრიციუსი. (მხიარულად). მაგას რა სჯობს, ხერეას თქმისა არ იყოს, ტრაქტატის წერა კალიგულას გაართობს.

ცეზონია. დიახ, ლამაზო, მაგრამ წიგნის სახელწოდება ალბათ შეგადრწუნებთ.

ხერეა. მაინც რა სათაური აქვს ამისთანა?

ცეზონია. «ხმალი».

სცენა მეცხრე

სწრაფად შემოდის კალიგულა.

კალიგულა. მაპატიეთ, სასწრაფო საქმეები მქონდა მოსაგვარებელი. ინტენდანტო, უნდა დაახურინო სახელმწიფო ბეღელი. დეკრეტს უკვე მოვაწერე ხელი. ჩემს ოთახშია.

ინტენდანტი. კი მაგრამ...

კალიგულა. ხვალიდან იწყება შიმშილი.

ინტენდანტი. ხალხი რომ გაწყრეს?

კალიგულა. (ხმამაღლა და გადაჭრით) მე ვთქვი, რომ ხვალ შიმშილი იწყება. ყველამ იცის, რა არის შიმშილი, შიმშილი არის უბედურება. ხვალიდან იწყება უბედურება... ამ უბედურებას მაშინ შევაჩერებ, როცა მომეპრიანება. (სხვებსაც განუმარტავს). არც ისე ბევრი საშუალება გამაჩნია თავისუფლების დასამტკიცებლად. თავისუფლება მხოლოდ სხვის ხარჯზე მოიპოვება. საწყენია, მაგრამ ასეა (მუციუსს გახედავს). მიუყენეთ ეს აზრი ეჭვიანობას და

მიხვდებით (ჩაფიქრებული), თუ რა უშნო გრძნობაა ეჭვიანობა. ეჭვიანობა არის ტანჯვა პატივმოყვარეობისა და ოცნების გამო. წარმოიდგინე ცოლი... (მუციუსი ფითრდება და პირს ადებს. კალიგულა განაგრძობს:)-გაამოთ ბატონებო. იცით რა დაულაღავად ვშრომობთ მე და ჰელიკონი? ჩვენ ვამთავრებთ ერთ პატარა ტრაქტატს სიკვდილით დასჯის შესახებ. აზრის გამოთქმა თქვენზეა.

ჰელიკონი. ისე ლაპარაკობ, თითქოს ესენი აზრის გამოთქმასა გთხოვდნენ.

კალიგულა. დიდსულოვნება გვმართებს, ჰელიკონ. ხალხს უნდა გავანდოთ ზოგიერთი მცირე ჩანაფიქრი. მაშ ასე, განყოფილება მესამე, პარაგრაფი პირველი.

ჰელიკონი. (დგება და ლაპარაკობს) «სიკვდილით დასჯა შევებას ჰგვრის და ანთავისუფლებს ადამიანს. სიკვდილით დასჯა თავისი აზრითა და დანიშნულებით მხნეობის მომგვრელი და სამართლიანია. კვდება ის, ვინც დამნაშავეა. დამნაშავეა ის, ვინც კალიგულას ქვეშევრდომია. ანუ ყველა მოკვდება, დრო და მოთმინებაა მხოლოდ საჭირო».

კალიგულა. (სიცილით). რას იტყვით? მოთმინება, მართლაც რომ კარგი მიგნებაა ეს სიტყვა. გამოგიტყდებით, რომ სწორედ თქვენს მოთმინებას მოვყავარ ალტაცებაში. ეხლა, ბატონებო, შეგიძლიათ მიბრძანდეთ. აღარ სჭირდებათ ხერეას. თუმცა არა, ცეზონია, დარჩეს. ლეპიდუსი და ოქტავიუსიც. მერეაც. მე მინდა, თქვენთან ერთად ჩემს საროსკიპოზე ვიმსჯელო. საროსკიპოს ამბავი ძალიან მაწუხებს. (სხვები ნელა გადიან. კალიგულა თვალეებით აცილებს მუციუსს).

სცენა მეათე

ხერეა. შენი უმორჩილესი მონა გეკითხები, კაიუს, რა ხდება, მომსახურე პერსონალი არ ვარგა?

კალიგულა. პერსონალი კი არა, შემოსავალი არ ვარგა.

მერეა. ჰოდა, ნიხრი უნდა გავზარდოთ.

კალიგულა. მერეა, იმის მაგივრად, რომ ხმას არ იღებდე... შენი ხნის კაცს რა ხელი აქვს ასეთ საქმესთან. მე შენთვის აზრი არ მიკითხავს.

მერეა. მაშ, რად დამტოვე?

კალიგულა. იმიტომ, რომ ამ საქმეში მიუკერძოებელი აზრის გამოთქმაც იქნება საჭირო (მერეა განეცლება).

ხერეა. მე კი მიკერძოებით შემძლია ვთქვა, რომ ხელი არ უნდა ვახლოთ ნიხრს.

კალიგულა. სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ციფრებს როგორღა მოვერიოთ? ჩემი გეგმა უკვე გავაცანი ცეზონიას, ყველაფერს მისგან შეიტყობთ. მე კი, წავალ, წავუძინებ, ბევრი დავლიე. (წვება და თვალებს ხუჭავს).

ცეზონია. კალიგულამ ახალი ორდენი დააარსა.

ხერეა. რა შუაშია ორდენი.

ცეზონია. ეხლავე მიხვდებით. ეს გახლავთ სახალხო გმირის ორდენი. ამ ჯილდოს მიიღებენ ის მოქალაქეები, რომლებიც ყველაზე ხშირად ივლიან კალიგულას საროსკიპოში.

ხერეა. ბრწყინვალე აზრია.

ცეზონია. მეც ასე მგონია. კინალამ დამავიწყდა, დაჯილდოება მოხდება ყოველთვიურად, შესყიდული ბილეთების შემოწმების შემდეგ. ის მოქალაქე, რომელიც თორმეტი თვის მანძილზე ვერ მიიღებს ორდენს, ან გადასახლებული იქნება, ან სიკვდილით დაისჯება.

მესამე პატრიციუსი. რატომ «ან სიკვდილით დაისჯება».

ცეზონია. იმიტომ, რომ ამას კალიგულასათვის არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია, არჩევანი ჰქონდეს.

ხერეა. ყოჩაღ, მაშ, სახალხო ხაზინას დაულწევია თავი გასაჭირისაგან.

ჰელიკონი. თანაც, ზნეობრივი გზით, გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში. ბოლოს და ბოლოს, სჯობია ფასი დაედოს გარყვნილებას და არა სათნოებას, როგორც რესპუბლიკურ საზოგადოებაშია მიღებული.

კალიგულა თვალს ახელს და უყურებს მოხუც მერეას, რომელიც აიღებს პატარა ბოთლს და ერთ ყლუპს გადაჰკრავს.

კალიგულა. (წამოწოლილი) რას სვამ, მერეა?

მერეა. ასთმის წამალს, კაიუს.

კალიგულა მიდის მერეასაკენ, ყველას მისწი-მოსწევს და პირს დაუყნოსავს.

კალიგულა. არა, ეს არ არის ასთმის წამალი.

მერეა. როგორ არა, კაიუს, შენ ალბათ მეხუმრები. დამდამობით ლამისაა დავიხჩრო. უკვე კარგა ხანია, ამ წამლით ვმკურნალობ.

კალიგულა. მაშ, გეშინია მოწამვლის?

მერეა. ჩემი ასთმა...

კალიგულა. კმარა. დავარქვათ საგნებს თავისი სახელები: შენ გეშინია, რომ მოგწამლავ. ეჭვი გაქვს და მითვალთვალებ.

მერეა. ღმერთებს ვფიცავ, არა.

კალიგულა. ეჭვი გაქვს და არ მენდობი.

მერეა. კაიუს.

კალიგულა. (უხეშად) იმართლე თავი. (მათემატიკური სიზუსტით) შენ სვამ საწამლავის გამაბათილებელ სითხეს, ამიტომ, მიჩენ სურვილს, რომ მოგწამლო.

მერეა. დიახ, მე მინდოდა მეთქვა... არა.

კალიგულა. ხოლო მას შემდეგ, რაც შენ ირწმუნე, რომ მე მსურს მოგწამლო, ყველა ღონეს ხმარობ, რომ წინ აღუდგე ჩემს ნებას... (სიჩუმე. ცეზონია და ხერეა სიღრმისაკენ მიდიან. მხოლოდ ლეპიდუსი უსმენს ნაღვლიანად ამ დიალოგს). ესეც უკვე ორი დანაშაული. ყველა გზა მოჭრილი გაქვს. თავს ვეღარ დაიძვრენ: არადა, არ მინდოდა შენი სიკვდილი, შენ კი უსამართლო ეჭვი გაგიჩნდა ჩემზე, იმპერატორზე, ანდა პირიქით, მინდოდა შენი სიკვდილი და შენ, ჭიანჭველავ, წინააღმდეგობა გამიწიე. (პაუზა, კალიგულა კმაყოფილი შეჰყურებს მოხუცს). როგორია ჩემი ლოგიკა, ჰა? მერეა?

მერეა. რკინისებური, კაიუს. მაგრამ ჩემს ამბავს არ უხდება.

კალიგულა. ესეც მესამე დანაშაული. სულელიცა გგონივარ. ამ სამი დანაშაულიდან მეორე ყველაზე ღირსეულია შენთვის-რამეთუ შენს მემამბოხე სულს გამოხატავს. შენ გამოდიხარ ხალხის წინამძღოლი, რევოლუციონერი (ნაღვლიანად) ძალიან მიყვარხარ, მერეა. ამიტომ, შენ მხოლოდ მეორე დანაშაულისთვის დაისჯები. მოკვდები ვაჟკაცურად, როგორც მემამბოხე. (ამის გაგონებაზე, მერეა სულ უფრო და უფრო იკუნტება თავის სკამზე). მაღლობას ნუ მეტყვი, სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. მოიცა. (თავაზიანად უწვდის ფიალას) დალიე საწამლავი. (მერეა ტირის, თავს აქნევს უარის ნიშნად). მიდი, მიდი. (მერეა ცდილობს გაიქცეს. მაგრამ კალიგულა ერთი ნახტომით წამოეწევა. იჭერს შუა სცენაზე, დასვამს დაბალ სკამზე, წინააღმდეგობის მიუხედავად, კბილებში ჩასტენის ფიალას და პირზე ამსხვრევს, მერეა იკრუნჩხება სახედასისხლიანებული და დუჟმორეული კვდება. კალიგულა დგება და ხელს იწმენდს, ფიალის ნამსხვრევებს კი ცეზონიას აძლევს). რა არის ეს? საწამლავის საწინააღმდეგო?

ცეზონია. (წყნარად) არა, კალიგულა, ასთმის წამალია.

კალიგულა უყურებს მერეას, მერე სიჩუმეში-«არაფერია, განა სულერთი არ არის, ცოტა ადრე თუ ცოტა გვიან»... გადის უცბად, საქმიანი სახით, ხელების წმენდით.

სცენა მეთერთმეტე

ლეპიდუსი. (გაქვავებული). რა ვქნათ?

ცეზონია. (უბრალოდ) ჯერ გვამი გავიტანოთ, რა უშნოა.

ხერეას და ლეპიდუსს კულისებში გააქვთ გვამი.

ლეპიდუსი. (ხერეას) ჩქარა მივხედოთ საქმეს.

ხერეა. ორასი კაცი გვჭირდება.

შემოდის ახალგაზრდა სციპიონი. ცეზონიას დანახვაზე მოუხდება უკან წასვლა.

სცენა მეთორმეტე

ცეზონია. მოდი აქ.

ახალგაზრდა სციპიონი. რა გინდა?

ცეზონია. მოდი მეთქი. (ნიკაპს აუწევს და თვალებში უყურებს. პაუზა. შემდეგ განაგრძობს ცივად) კალიგულამ მამაშენი მოკლა?

ახალგაზრდა სციპიონი. დიახ.

ცეზონია. შენ ის გძულს?

ახალგაზრდა სციპიონი. დიახ.

ცეზონია. მისი მოკვლა გინდა?

ახალგაზრდა სციპიონი. დიახ.

ცეზონია. (გაუშვებს) მე რატომ მეუბნები ამას?

ახალგაზრდა სციპიონი. იმიტომ, რომ არავისი არ მეშინია. ან ის უნდა მოკვლა, ან მე უნდა მოვკვდე, ორი გზაა დამრჩენია. შენ კი მე ვერ გამცემ.

ცეზონია. მართალი ხარ, მე შენ ვერ გაგცემ: მაგრამ, მინდა, რაღაც გითხრა: უფრო სწორად კი, შენ კი არა, თუკი რამ ძვირფასი არსებობს შენში, ის მინდა გამოვიწვიო საუბარში.

ახალგაზრდა სციპიონი. ჩემში ძვირფასი სიძულვილია.

ცეზონია. მისმინე. ის, რაც მე უნდა გითხრა, აშკარაა და მძიმე. ეს რომ მართლა ვინმემ შეისმინოს, ქვეყნიერება ერთხელ და სამუდამოდ გადატრიალდება.

ახალგაზრდა სციპიონი. მიდი, თქვი.

ცეზონია. ვერ გეტყვი. ჯერ გაიხსენე, როგორი იყო მამაშენის სახე, როცა ენა ამოაგლიჯეს, გაიხსენე მისი სისხლით მოსვრილი პირი და დაჭრილი ნადირივით ღრიალი.

ახალგაზრდა სციპიონი. ვეცდები.

ცეზონია. ახლა კი კალიგულაზე იფიქრე.

ახალგაზრდა სციპიონი. (ზიზლით). კარგი.

ცეზონია. ახლა მისმინე: ეცადე, გაუგო.

გადის. სციპიონი გაოგნებული რჩება. შემოდის ჰელიკონი.

სცენა მეცამეტე

ჰელიკონი. კალიგულა ბრუნდება. ხომ არ ისაუზმებდით პოეტო?

ახალგაზრდა სციპიონი. ჰელიკონ, მიშველე.

ჰელიკონი. შველა საშიშია, ჩემო მტრედო. მე არაფერი გამეგება პოეზიისა.

ახალგაზრდა სციპიონი. შეგიძლია ჩემი შველა. შენ ხომ ბევრი რამ იცი.

ჰელიკონი. მე ვიცი, რომ დღეები გარბიან და რომ უნდა მოვასწრო ჭამა. ვიცი ის, რომ შენ შეგიძლია კალიგულას მოკვლა... და რომ კალიგულას სულაც არ ეწყინებოდა ეს...

შემოდის კალიგულა. ჰელიკონი გადის.

სცენა მეთოთხმეტე

კალიგულა. ოჰ. შენა ხარ? (ჩერდება. თითქოს ფიქრობს რა გუნებაზე დადგეს). დიდი ხანია, არ მინახიხარ. (ნელა უახლოვდება). რას აკეთებ? ისევ წერ? გინდა, მაჩვენო შენი ბოლო პიესები?

ახალგაზრდა სციპიონი. (ორცეცხლშუა, მისთვის რაღაც უცხო გრძნობა აწუხებს) მე ლექსები დავწერე, ცეზარ.

კალიგულა. რაზეა შენი ლექსები?

ახალგაზრდა სციპიონი. არ ვიცი, ცეზარ, მგონი, ბუნებაზე.

კალიგულა. (უკეთ გრძნობს თავს) საუცხოო თემაა. თან ვრცელი, რა ზემოქმედებას ახდენს შენზე ბუნება?

ახალგაზრდა სციპიონი. (გონს მოეგება და დამცინავად ეუბნება:) მანუგეშებს, რომ ცეზარი არა ვარ.

კალიგულა. როგორ გგონია, მე კი მანუგეშებს ცეზარი რომ ვარ?

ახალგაზრდა სციპიონი. ეგ რაა, უარესი ჭრილობებიც განუკურნავს ბუნებას.

კალიგულა. (ძლიერ თავმდაბლურად) ჭრილობები? ღვარძლი ისმის მაგ ნათქვამიდან. იმიტომ ხომ არა, რომ მამა მოგიკალი? რომ იცოდე, რა ზუსტი სიტყვა იპოვე, ჭრილობა. (ტონს იცვლის). როგორც ჩანს, მხოლოდ ზიზღს შეძლებია ადამიანის დაბრძენება.

ახალგაზრდა სციპიონი. მე ბუნების თაობაზე მოგახსენებ.

კალიგულა ჯდება, უყურებს სციპიონს, შემდეგ უხეშად ჩაავლებს ხელს და ძალით დაისვამს ფეხებთან. მერე სახეზე ჰკიდებს ხელს.

კალიგულა. მითხარი შენი ლექსი.

ახალგაზრდა სციპიონი. ვერ ვიტყვი, ცეზარ, ვერა.

კალიგულა. რატომ?.

ახალგაზრდა სციპიონი. თან არა მაქვს.

კალიგულა. ზეპირად არ გახსოვს?

ახალგაზრდა სციპიონი. არა.

კალიგულა. ის მაინც მითხარი, რა შინაარსისაა.

ახალგაზრდა სციპიონი. (ისევ დამაბული, სინანულით:) მე ვწერ...

კალიგულა. რაზე?

ახალგაზრდა სციპიონი. არ ვიცი, არა...

კალიგულა. შეეცადე გაიხსენო...

სციპიონი. მე ვწერ იმაზე, რომ დედამიწა თანახმაა აიტანოს...

კალიგულა. (შეაწყვეტინებს და განაგრძობს ფიქრებში წასული). მასზე დადგმული ფეხის სიმძიმე.

ახალგაზრდა სციპიონი. დიახ, დაახლოებით.

კალიგულა. განაგრძე.

ახალგაზრდა სციპიონი. ... აგრეთვე რომის მთებზე და იმ მალულად შემოპარულ გასაოცარ სიმშვიდეზე, იქაურ საღამოებს რომ ახლავს ხოლმე.

კალიგულა. გვრიტების ჭიკჭიკზე მწვანე ცაში.

ახალგაზრდა სციპიონი. (თანდათან თავისუფლდება დამაბულობისაგან) დიახ, ამაზეც.

კალიგულა. მერე?

ახალგაზრდა სციპიონი. იმ მოუხელთებელ წამზე, როცა ჯერ კიდევ მზის ოქროთი დახუნძლული ცა უეცრად შეტორტმანდება და თავის სხვა სახეს წარმოაჩენს ხოლმე-მზრწყინავი ვარსკვლავებით გადატენილს.

კალიგულა. ხეების, წყლისა და კვამლის სურნელზე, მიწიდან ზემოთ რომ მიილტვის ხოლმე ასეთ ღამეში.

ახალგაზრდა სციპიონი. (თავდავიწყებით) ... ჭრიჭინების ჭრიჭინზე, მხუთავ სიცხეზე, ძაღლებზე, ეტლების ჩაქჩაქზე, გლეხების მოძახილზე...

კალიგულა. ...ზეთისხილისა და ფშატის ხეების ჩრდილში ჩანთქმულ გზებზე.

ახალგაზრდა სციპიონი. დიახ, დიახ. მართლაც ასეა. საიდან იცი?

კალიგულა. (გულში ჩაიკრავს სციპიონს) რა ვიცი, ალბათ იმიტომ, რომ ორივეს ერთი და იგივე სინამდვილე გვიყვარს.

ახალგაზრდა სციპიონი. (კანკალით მალავს თავს კალიგულას მკერდში) თუმცა რა მნიშვნელობა აქვს. ჩემში უკვე ყველა გრძნობამ სიყვარულის სახე მიიღო.

კალიგულა. (ალერსიანად) შენი გულიც ისევე სათნოა, როგორც ყველა დიდსულოვანი ადამიანის გული... სციპიონ, ოჰ, რატომ არ შემოიძლია შენი გამჭვირვალეების აღქმა. ზედმიწევნით კარგად ვიცნობ ჩემ სასიცოცხლო ვნებას, მისი დაკმაყოფილება მარტო ბუნებას არ შეუძლია. თუმცა შენ ამას ვერ გაიგებ. შენ სხვა კაცი ხარ. შენ სიკეთეში ხარ სუფთა, ისევე როგორც მე-ბოროტებაში.

ახალგაზრდა სციპიონი. მე შემოიძლია გაგება.

კალიგულა. არა, შენ ვერ გაუგებ ჩემში არსებულ სიჩუმის ტბას და ტბის დამპალ მცენარეებს. (ტონს იცვლის). შენი ლექსი ალბათ ლამაზია. მაგრამ თუ გაინტერესებს ჩემი აზრი...

ახალგაზრდა სციპიონი. (იგივე განწყობით) დიახ.

კალიგულა. შენს ლექსს სისხლი აკლია.

სციპიონი უკან გადაქანდება და ზიზღით შეხედავს კალიგულას. ყრუ ხმით დაილაპარაკებს. კალიგულა დაჟინებით უყურებს.

ახალგაზრდა სციპიონი. ოი. ურჩხულო, დამპალო ურჩხულო, ისევ თვალთმაქცობდი? მაშ თვალთმაქცე? კმაყოფილი ხარ?

კალიგულა. (ოდნავ ნაღვლიანად) არც უმაგისობაა, ვითვალთმაქცე.

ახალგაზრდა სციპიონი. (იგივე ტონით) როგორი საზიზღარი და სისხლით გაუმადლარი გული უნდა გქონდეს. ალბათ, როგორ გტანჯავს ეგ ღვარძლი და ბოროტება.

კალიგულა. (მშვიდად) ახლა კი გაჩუმდი.

ახალგაზრდა სციპიონი. როგორ მებრალები და როგორ მძულხარ.

კალიგულა. (გაბრაზებული) გაჩუმდი.

ახალგაზრდა სციპიონი. ალბათ რა ჯოჯოხეთურია შენი სიმარტოვე.

კალიგულა. (საყელოში სწვდება და ანჯღრევს) სიმარტოვეო. იცი მაინც, რა არის მარტოობა? პოეტებისა და დავრდომილების გარიყულობა გეცოდინება ალბათ. სიმარტოვე? რომელ სიმარტოვეზე მელაპარაკები? არა გცოდნია, რომ მარტო ყოფნა არ არსებობს. არა გცოდნია, რომ ადამიანს ყოველთვის თან ახლავს წარსულისა და მომავლის სიმძიმე. ჩვენს მიერ დახოცილები ხომ განუყრელად ჩვენთან არიან, რადგან ეს მათთვის ძალზე იოლია. იმათზე რაღას იტყვი, ვინც გვიყვარდა, ან არ გვიყვარდა, მაგრამ ვუყვარდით: სინანული, სურვილი, სიმწარე თუ სიტკბოება, როსკიპი ქალები, ღმერთების ძახილი, განა ოდესმე გვტოვებენ ჩვენ?

(ხელს გაუშვებს და თავისი სკამისკენ წავა). მარტო ხარო. ო, რომ შეიძლებოდეს ამ ჩემი მოწამლული სიმარტოვის ნაცვლად ნამდვილი სიმარტოვის განცდა, სიჩუმისა და ხის შრიალის მოსმენა. (უცებ, დაღლილი განაგრძობს). ჩემი სიმარტოვე. არა, სციპიონ, ჩემი სიმარტოვე სავსეა კბილების ღრჭიალით, გამაყრუებელი ხმაურით. ღამით, საყვარელ ქალთანაც კი, როცა მგონია, რომ დაკმაყოფილებულ ხორცს ვეყრები და სიკვდილ-სიცოცხლეს შუა ვარ. ჩემი სიმარტოვე გვერდით მწოლიარე ქალის ილღიების მძაფრსუნნიანი ვნებათღელვით ივსება.

კალიგულას გატანჯული სახე აქვს. ჩამოვარდება სიჩუმე. ახალგაზრდა სციპიონი ზურგიდან მოუვლის, გაუბედავად მიუახლოვდება, ხელს გაუწოდებს და მხარზე დაადებს. კალიგულა შემოუბრუნებლად შეაგებებს თავის ხელს.

ახალგაზრდა სციპიონი. ცხოვრებაში ყველა ადამიანს აქვს თავისთვის რაღაც სანუკვარი, რაც უადვილებს არსებობას. სწორედ მისკენ მიიღტვის ყველა გადაღლილობის ჟამს.

კალიგულა. მართალია, სციპიონ.

ახალგაზრდა სციპიონი. განა შენ კი არა გაქვს ასეთი მყუდრო თავშესაფარი?

კალიგულა. როგორ არა.

ახალგაზრდა სციპიონი. რა არის შენი ნუგეში?

კალიგულა. (ზანტად) სიძულვილი.

ფარდა

მესამე მოქმედება

სცენა პირველი

ფარდის ახდამდე ისმის წინწილების და დოლის ხმა. ცენტრშია ფარდული, სადაც ცეზონია და ჰელიკონი დგანან. ბაზრობის სცენა. მათ გვერდით წინწილებზე დამკვრელთ დაუკავებით ადგილი. ხოლო წინ, მაყურებლებისაკენ ზურგით სხედან პატრიციუსები და ახალგაზრდა სციპიონი.

ჰელიკონი. (საზეიმო ხმით) აქეთ, აქეთ. (წინწილების ხმა). ღმერთებმა კვლავ ინებეს მიწაზე ჩამობრძანება. კაიუსმა, ცეზარმა და ღმერთმა, კალიგულად წოდებულმა, ადამიანთა სახე შესძინა ღმერთებს. აქეთ, აქეთ, უბადრუკო მოკვდავნი. თქვენ მოწმე გახდებით წმინდა სასწაულისა. კალიგულას კურთხეული მეფობის წყალობით, თქვენ წინ გაცხადდება ღვთიური საიდუმლო. (წინწილების ხმა).

ცეზონია. აქეთ, ბატონებო. დაიჩოქეთ და გაიღეთ მოწყალება. ზეცის საიდუმლო დღეს თქვენი ქისებისათვის მისაწვდომი ხდება. (წინწილები).

ჰელიკონი. თქვენს წინაშეა ოლიმპი, თავისი საიდუმლო ტალანებით, თავგადასავლებით, შინაურული ამბებით და ცრემლებით. აქეთ, აქეთ. თქვენ გაიგონებთ სიმართლეს ღმერთებზე. (წინწილების ხმა).

ცეზონია. დაიჩოქეთ და გაიღეთ ფული, აქეთ ბატონებო, წარმოდგენა იწყება. (წინწილების ხმა. მონებს შემოაქვთ სხვადასხვა საგნები და შემალლებულ ფიცარნაგზე აწყობენ).

ჰელიკონი. იხილეთ სინამდვილის არნახული განსახიერება. იხილეთ აქამდე არარასებული თამაში. შეხედეთ როგორ არის განსხეულებული მიწაზე ჩამოტანილი ღვთიური ძლიერება. თქვენ გელით უჩვეულო და უზომო გართობა... თქვენ ნახავთ ელვას (მონები ანთებენ ბიზანტიურ ცეცხლს)*, (*ბიზანტიური ცეცხლი-ჩირადდანი, რომელსაც ბიზანტიელები ომში იყენებდნენ. (მთარგმნელის შენიშვნა).) გაიგონებთ ქუხილს, (მონები დააგორებენ ქვით სავსე კასრს), პირისპირ შეხვდებით გამარჯვებულ ბედისწერას. მობრძანდით და დატკბით.

ჰელიკონი გადასწევს ფარდას, გამოჩნდება კალიგულა ვენერას სასაცილო ჩაცმულობაში.

კალიგულა. (თავაზიანად) დღეს მე ვარ ვენერა.

ცეზონია. თაყვანი ეცით ვენერას. დაიჩოქეთ (ყველა იჩოქებს სციპიონის გარდა) და გაიმეორეთ ჩემთან ერთად წმინდა ლოცვა კალიგულა-ვენერასადმი «ტკივილისა და ცეკვის ღმერთქალო...»

პატრიციუსები. «ტკივილისა და ცეკვის ღმერთქალო...»

ცეზონია. «შენ, ტალღებიდან გაჩენილო, ტანასხლეტილო, მწარევი, ზღვის ქაფში ამოვლებულო და მარილიანო».

პატრიციუსები. «შენ, ტალღებიდან გაჩენილო, ტანასხლეტილო, მწარევი, ზღვის ქაფში ამოვლებულო და მარილიანო».

ცეზონია. «შენ, თან სიცილო და თან სინანულო...»

პატრიციუსები. «შენ, თან სიცილო და თან სინანულო...»

ცეზონია. «თან სიმწარევი და თან აღტაცებავი...»

პატრიციუსები. «თან სიმწარევ და თან აღტაცებავ...»

ცეზონია. «მოგვეც გულგრილობა, რომ გულგრილობამ კვლავ შვას სიყვარული...»

პატრიციუსები. «მოგვეც გულგრილობა, რომ გულგრილობამ კვლავ შვას სიყვარული...»

ცეზონია. «გვასმინე ამ ქვეყნის სიმართლე, რომელიც არ არსებობს...»

პატრიციუსები. «გვასმინე ამ ქვეყნის სიმართლე, რომელიც არ არსებობს...»

ცეზონია. «მოგვმადლე ძალა, რომ შევწვდეთ ამ შეუდარებელ ჭეშმარიტებას...»

პატრიციუსები. «მოგვმადლე ძალა, რომ შევწვდეთ ამ შეუდარებელ ჭეშმარიტებას...»

ცეზონია. «პაუზა.»

პატრიციუსები. «პაუზა.»

ცეზონია. «აგვავე შენი ნიჭით, მოგვეცი შენი მოუსყიდავი ულმობელობა, შენი მართალი სიძულვილი. შენივე ხელით გადმოგვაყარე ყვავილები და სიკვდილი».

პატრიციუსები. «... ყვავილები და სიკვდილი».

ცეზონია. «ჩაიბარე შენი გზააბნეული შვილები. მიგვიღე შენს ცივ, მტკივან და უსისხლო თავშესაფარში. გვარგუნე შენი უმიზნო გრძნობები, უაზრო ტკივილები და უდღეური სიხარული».

პატრიციუსები. ... «უდღეური სიხარული».

ცეზონია. (ძალიან ხმამაღლა) «შენ, ასე ფშუტევ და ვნებიანო, უკაცურო და თან მიწიერო, დაგვათვრე შენი კაეშნის ღვინით, დაგვაძლე შენი ღამეული და მძაღე გულით».

პატრიციუსები. «დაგვათვრე შენი კაეშნის ღვინით, დაგვაძლე შენი ღამეული და მძაღე გულით».

ბოლო ფრაზას რომ გაიმეორებენ პატრიციუსები, მანამ გაუნძრევლად მდგარი კალიგულა შეირხევა და რიხიანად დაიწყებს:

კალიგულა. თანახმა ვარ, შვილნო ჩემნო, აღსრულდეს ნება თქვენი.

კალიგულა ჯდება ფიცარნაგზე. პატრიციუსები სათითაოდ იჩოქებენ, იხდიან ფულს და ქრებიან. ბოლო პატრიციუსს შეძრწუნებისაგან ავიწყდება ფულის გადახდა. კალიგულა უმაღ წამოხტება.

კალიგულა. ეი. ეი. მოდი აქ. ბიჭი, თაყვანისცემა კარგია, მაგრამ გამდიდრება კიდევ უკეთესი. გმადლობ. კარგია. ღმერთებს მოკვდავთა სიყვარულის გარდა სხვა სიმდიდრეც რომ არ ჰქონდეთ, ხომ ისეთივე ღარიბები იქნებოდნენ, როგორც საწყალი კალიგულა. ახლა, ბატონებო, შეგიძლიათ წაბრძანდეთ და ყველას უამბოთ სასწაულზე, აქ რომ იხილეთ: თქვენ ხომ საკუთარი თვალთ ნახეთ ვენერა, თქვენ გელაპარაკათ ვენერა. მიბრძანდით ბატონებო. (პატრიციუსები შეიშმუშნებიან.). წამით შეჩერდით, მარცხენა დერეფნიდან გაბრძანდით, მარჯვენა დერეფანში მცველები დავაყენე თქვენს მოსაკლავად.

პატრიციუსები თავგზააზნეულნი გარბიან, მონები და მუსიკოსები ქრებიან.

სცენა მეორე

ჰელიკონი თითოთ ემუქრება სციპიონს.

ჰელიკონი. შენ ისევ ანარქისტობ, სციპიონ.

სციპიონი. (კალიგულას) შენ ყველაფერი წაბილწე, კაიუს.

ჰელიკონი. რისი თქმა გინდა?

სციპიონი. ჯერ დედამიწა მორწყე სისხლით, ეხლა კი ცასაც სვრი. (სციპიონი დივანზე წვება).

ჰელიკონი. ამ ახალგაზრდას მაღალფარდოვანი სიტყვები ყვარებია (დივანზე წამოწვება).

ცეზონია. (მშვიდად) შენ, ჩემო ბიჭო, ზედმეტი პირდაპირობა ხომ არ გალაპარაკებს? ხომ არ გავიწყდება, რომ ამ წუთსაც კი სიკვდილით სჯიან რომში იმ ხალხს, რომლებმაც შენზე ნაკლების თქმა გაბედეს.

სციპიონი. მე გადავწყვიტე, სიმართლე მეთქვა კაიუსისთვის.

ცეზონია. ესეც ასე, კალიგულა, შენს მეფობას მარტო ზნეობის მქადაგებელია აკლდა.

კალიგულა. (ინტერესით) მაშ, გწამს ღმერთების, სციპიონ?

სციპიონი. არა.

კალიგულა. აბა ვერ გამიგია, რატომ ცდილობა სიბილწის გამოაშკარავებას?

სციპიონი. მე პირადად, როცა რამეს უარყოფ, ისე ვიქცევი, რომ სხვა არ გავსვარო და რწმენა დავუკარგო.

კალიგულა. შენ თავმდაბლობა გალაპარაკებს, ნამდვილი თავმდაბლობა, ოჰ, სციპიონ, როგორ მიხარია და როგორ მშურს შენი... იცი, თავმდაბლობა ერთადერთი გრძნობაა, რომელიც მე არასოდეს არ მექნება.

სციპიონი. შენ ჩემი კი არა, ღმერთების გშურს.

კალიგულა. თუნდაც ასე იყოს, ეს ჩემი მეფობის დიდ საიდუმლოდ დარჩება. ჩემთან სასაყვედურო ის ექნებათ, რომ ძალაუფლებისა და თავისუფლების გზაზე ოდნავ წინ გადავდგი ნაბიჯი. ძალაუფლების მოყვარულ კაცს კი-ალიზიანებს ღმერთების მეტოქეობა. მე დავუმტკიცე გამოგონილ ღმერთებს, რომ თუ ადამიანი მოინდომებს, დიდი ცდის გარეშეც შეძლებს ღმერთების სასაცილო ხელობის დაუფლებას.

სციპიონი. სწორედ ეს არის წაბილწვა, კაიუს.

კალიგულა. არა, სციპიონ, ეს მხოლოდ ნათელმხილველობაა. მე მივხვდი, რომ მხოლოდ ერთი რამ არის საჭირო იმისათვის, რომ ღმერთებს გაუთანაბრდე, უნდა იყო მათსავით უღმობელი.

სციპიონი. მაშ, საკმარისი ყოფილა ტირანობა.

კალიგულა. რა არის ტირანი?

სციპიონი. ბრმა სული.

კალიგულა. არც მასეა, სციპიონ, ტირანი ის კაცია, ვინც თავისი იდეებისა და პატივმოყვარეობისათვის ხალხს სწირავს. მე კი აღარ გამაჩნია იდეები, არც პატივი მაქვს მოსახვეჭი და არც ძალაუფლება მოსაპოვებელი. და თუ ძალაუფლება გამაჩნია, ეს იმიტომ, რომ სამაგიეროს ვუხდი...

სციპიონი. რას?

კალიგულა. ღმერთების სისულელეს და ზიზღის გრძნობას.

სციპიონი. ზიზღი ზიზღს სამაგიეროს ვერ გადაუხდის. ძალაუფლება გამოსავალი არ არის. მე მარტო ერთი რამ მეგულება, რასაც შეუძლია ამ ქვეყნის მტრობა გააწონასწოროს.

კალიგულა. მაინც რა არის ეგ ერთი რაღაც?

სციპიონი. სიღარიბე.

კალიგულა. (პედიკურით გართული) ერთი ესეც უნდა ვცადო.

სციპიონი. ამასობაში კარგა ბლომად ხალხი დაიხოცება შენს ირგვლივ.

კალიგულა. ხალხი ძალიან ცოტა იხოცება, სციპიონ. რამდენ ომზე ვთქვი უარი?

სციპიონი. არ ვიცი.

კალიგულა. სამზე. იცი რატომ ვთქვი უარი?

სციპიონი. იმიტომ, რომ რომის დიდებას მიაფურთხე.

კალიგულა. არა, იმიტომ, რომ ადამიანის სიცოცხლეს ვეცი პატივი.

სციპიონი. შენ მე დამცინი, კაიუს.

კალიგულა. მე სიცოცხლეს უფრო ვაფასებ, ვიდრე ომში მიღწეულ იდეალურ გამარჯვებას. მაგრამ სხვების სიცოცხლეს ისევე არად მიღირს, როგორც საკუთარი. და თუ მიაღვილდება ხოცვა, ეს იმიტომ, რომ არ მიძნელებს სიკვდილი. არა, რაც უფრო მეტს ვფიქრობ, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ტირანი არა ვარ.

სციპიონი. მერე რა, შენი არატირანობა ისევე ძვირი გვიჯდება, როგორც ტირანობა.

კალიგულა. (მოუთმენლად) ანგარიში რომ იცოდე, მიხვდებოდი, რომ სულ მცირე ომიც კი ტირანს უფრო ძვირი უჯდება, ვიდრე მე ჩემი ახირება.

სციპიონი. ტირანის საქციელი უფრო გასაგებია. მთავარი კი გაგებაა.

კალიგულა. ბედისწერის გაგება არ შეიძლება. აი, ამიტომ, მე თვით შევიქმენი ჩემი ბედისწერა... მივიღე თუ არა ღმერთების გაოგნებული და შტერული სახე, შენმა მეგობრებმა მაშინვე ისწავლეს ჩემი თაყვანისცემა.

სციპიონი. სწორედ ეგ არის სიბილწე, კაიუს.

კალიგულა. არა, სციპიონ, ეს დრამატული ხელოვნება გახლავს. ხალხის შეცდომა ის არის, რომ არ სჯერა თეატრის. ეს რომ არა, ხალხს ეცოდინებოდა, რომ ადამიანს უფლება აქვს ითამაშოს ზეციური ტრაგედიები და ღმერთადაც იქცეს. მხოლოდ გულის გამაგრებაა ამისათვის საჭირო.

სციპიონი. შეიძლება, ასეც იყოს, კაიუს, და თუ ეს სიმართლეა, მაშინ მჯერა, რომ შენ ყველაფერი იღონე იმისათვის, რომ ერთ მშვენიერ დღეს ღმერთების ლეგიონები დაგესიონ და სისხლში ჩაახრჩონ შენი წამიერი ღვთიურობა.

ცეზონია. სციპიონ.

კალიგულა. (უხეზად) თავი დაანებე, ცეზონია, ვერ წარმოიდგენ, რა კარგად თქვი, სციპიონ, მე მართლაც ყველაფერი გავაკეთე, თუმცა ძნელად წარმომიდგენია ის დღე, შენ რომ ახსენე. ცოტა ვოცნებობ კიდევაც მაგ დღეზე. ზოგჯერ წარმოვიდგენ ხოლმე სიბნელიდან გამოსულ,

დარდითა და ზიზღით გადაგვარებულ სახეებს, და მათი დანახვისას აღტაცებით შევიცნობ ხოლმე ერთადერთ ღმერთს, რომელსაც მე ვეთაყვანებოდი-საბრალოსა და ლაჩარს ადამიანის გულივით. (ზიზღით) ახლა კი წადი, მეტისმეტი არ მოგივიდეს. (ხმას იცვლის). ფეხის ფრჩხილებზე ლაქი მაქვს წასასმელი. ძალიან საჩქარო საქმეა.

ყველა გადის ჰელიკონის გარდა, ის გარს უვლის კალიგულას და მისი ფეხების მოვლით არის დაკავებული.

სცენა მესამე

კალიგულა. ჰელიკონ.

ჰელიკონი. რა იყო?

კალიგულა. როგორ არის შენი საქმე?

ჰელიკონი. რომელი საქმე?

კალიგულა. დაგვიწყებია... მთვარე.

ჰელიკონი. საქმე წინ მიდის. მოთმინებაა საჭირო. ოღონდ მინდა მოგელაპარაკო.

კალიგულა. მოთმინება ალბათ მეყოფა, მაგრამ დრო კი არა მაქვს. ჩქარა ქენი, ჰელიკონ.

ჰელიკონი. გითხარი, ვეცდები-მეთქი. მაგრამ, ჯერ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი უნდა გითხრა.

კალიგულა. (თითქოს ვერ გაიგო) არ დაგავიწყდეს, რომ მე ის ერთხელ უკვე მოვიპოვე.

ჰელიკონი. რა ის?

კალიგულა. მთვარე.

ჰელიკონი. დიახ, მაგრამ, იცი თუ არა, რომ შენი სიცოცხლე საფრთხეშია?

კალიგულა. იცი, ის მთლიანად მე მეკუთვნოდა. მართალია, სულ ერთი-ორჯერ, მაგრამ მაინც მეკუთვნოდა.

ჰელიკონი. დიდი ხანია, ვცდილობ დაგელაპარაკო...

კალიგულა. გასულ ზაფხულს მოხდა ეს. იმ დროს, როცა მე მას ვუყურებდი და ვეფერებოდი ბადის კოლონებზე, ის ყველაფერს მიმიხვდა.

ჰელიკონი. გეყოფა თამაში, კაიუს. გინდა არ გინდა, ჩემი ვალია, დაგელაპარაკო. მით უარესი შენთვის, თუ არ მომისმენ.

კალიგულა. (გართული ლაქის წასმით) არ ვარგა ეს ლაქი. რაც შეეხება მთვარეს, აგვისტოს ერთ ლამაზ ღამეს მოხდა ეს ამბავი. (ჰელიკონი ნაწყენი მიტრიალდება, გაჩუმდება) ჯერ ცოტას გაიპრანჭა. მე უკვე ვიწევი. სისხლისფრად მოჩანდა ზედ ჰორიზონტის თავზე. მერე, მაღლა ასვლა დაიწყო მსუბუქად და ნაჩქარევად. რაც უფრო ზემოთ ადიოდა, მით უფრო კაშკაშა ხდებოდა. მერე რძისფერ ტბას დაემსგავსა. მოშარიშურე ვარსკვლავიან ღამეში. ბოლოს მოვიდა აალებული, მშვიდი, მსუბუქი და შიშველი. შემოაღწია ჩემს ოთახში და ზანტად მოუახლოვდა საწოლს, ჩაიღვარა შიგ და გამბანა თავისი ღიმილით და სიკაშკაშით.-ეს ლაქი მართლა არ ვარგა. ჰელიკონ, ტრაბახში ნუ ჩამომართმევ და, შემიძლია, ვთქვა, რომ ის მე მეკუთვნოდა.

ჰელიკონი. გაინტერესებს თუ არა, რა გემუქრება? გინდა თუ არა მოისმინო?

კალიგულა. (ჩერდება და თვალს უსწორებს) მე მხოლოდ მთვარე მინდა, ჰელიკონ. წინასწარ ვიცი, რაც მომკლავს. მაგრამ, ჯერ არ ამომიწურია ჩემი სასიცოცხლო ძალა. ამიტომაც მინდა მთვარე. იცოდე, აღარ დაგინახო აქ, სანამ მთვარეს არ მომიტან.

ჰელიკონი. მე მაინც აღვასრულებ ჩემს მოვალეობას და გეტყვი სათქმელს. შენს წინააღმდეგ შეთქმულება მზადდება. ხერეა მეთაურობს. მე ვიპოვნე ეს ფირფიტა.* (*ფირფიტა-ლათინურად ტაბულა-თხელი, ცვილწასმული ფიცარი, რომელსაც საწერად იყენებდნენ ძველ რომში (მთარგმნელის შენიშვნა).) წაიკითხე და მთავარს მიხვდები. ფირფიტას აქ ვტოვებ.

ჰელიკონი ფირფიტას სკამზე დებს და გადის.

კალიგულა. ჰელიკონ, სად მიდიხარ?

ჰელიკონი. წავალ, მთვარეს მოგიძებნი.

სცენა მეოთხე

წინა კართან ისმის ფხაჭუნი. კალიგულა უმაღლეს მოტრიალდება და ხანშიშესულ პატრიციუსს დაინახავს.

ხნიერი პატრიციუსი. (ყოყმანით) შეიძლება, კაიუს?

კალიგულა. (მოუთმენლად) კარგი, შემოდი. (უყურებს) ისევ მოგინდა ვენერას ნახვა, ლამაზო?

ხნიერი პატრიციუსი. არა, სულ სხვა რამემ მომიყვანა. ჩუ. ოჰ, მაპატიე, კაიუს... შენ იცი, როგორ მიყვარხარ... მე მინდა, სიმშვიდეში გავლიო წუთისოფელი.

კალიგულა. ჩქარა თქვი, რა გინდა.

ხნიერი პატრიციუსი. კარგი... ჰო. (აჩქარებით) სერიოზული ამბავია.

კალიგულა. არა, არ არის სერიოზული.

ხნიერი პატრიციუსი. რაზე ამბობ, კაიუს?

კალიგულა. რაზე ვლაპარაკობთ, ჩემო სიყვარულო?

ხნიერი პატრიციუსი. (აქეთ-იქით იყურება) იმაზე, რომ... (უჭირს თქმა, ბოლოს ამოღერდავს). შენს წინააღმდეგ შეთქმულებაა.

კალიგულა. ხომ ხედავ, მართალი ვყოფილვარ, ეგ სულაც არ არის სერიოზული.

ხნიერი პატრიციუსი. კაიუს, მათ შენი მოკვლა სურთ.

კალიგულა. (მივა და მხრებში წვდება) იცი, რატომ არ მჯერა შენი?

ხნიერი პატრიციუსი. (ფიცის ჟესტს აკეთებს) ღმერთებს ვფიცავ, კაიუს.

კალიგულა. (მშვიდად უბიძგებს კარისაკენ) ნუ იფიცავ, არ გინდა. მომისმინე, თუ მართალია, რასაც შენ ამბობ, გამოდის, რომ მეგობრებს ღალატობ, არა?

ხნიერი პატრიციუსი. (დაბნეული) ეს იმას ნიშნავს, რომ მე შენდამი სიყვარული, კაიუს...

კალიგულა. (ისევე) მე კი არ მინდა, ეს დავუშვა. ისე მძულს ლაჩარი ხალხი, რომ ვერასოდეს შევიკავებ თავს მოღალატის დასჯისაგან. ვიცი, შენ რადაც ღირხარ: არც ღალატს მოინდომებ, არც სიკვდილს.

ხნიერი პატრიციუსი. ზუსტად ასეა, კაიუს.

კალიგულა. ხომ ხედავ, მართალი ვიყავი, რომ არ მჯეროდა შენი. შენ ხომ არა ხარ ლაჩარი?

ხნიერი პატრიციუსი. არა...

კალიგულა. არც მოღალატე?

ხნიერი პატრიციუსი. რა თქმა უნდა, არა, კაიუს.

კალიგულა. მაშასადამე, არც შეთქმულება ყოფილა, იხუმრე?

ხნიერი პატრიციუსი. ვიხუმრე, უბრალოდ ვიხუმრე...

კალიგულა. ჩემი მოკვლა არავის უნდა, გაიგე?

ხნიერი პატრიციუსი. არავის, რა თქმა უნდა, არავის.

კალიგულა. (ჯერ ადელვებულები, მერე მშვიდად) მაშინ, მოშორდი აქაურობას, ლამაზო ქალო, ღირსეული კაცი ისეთი იშვიათი ცხოველია ამ ქვეყანაზე, რომ მისი დიდხანს ყურება არ შემძლია. საჭიროა მარტო დავრჩე, რათა დავტკბე ამ დიდი მოვლენით, შენმა ხილვამ რომ განმაცდევინა.

სცენა მეხუთე

კალიგულა კითხულობს ფირფიტას. სუნთქვა უხშირდება და მცველს ეძახის.

კალიგულა. შემოიყვანე ხერეა. (მცველი გადის). მოიცა (მცველი ჩერდება). უპატივცემულოდ არ მოექცე, იცოდე. (მცველი გადის, კალიგულა ბოლთას სცემს. მერე სარკისკენ მიდის) ლოგიკა მოინდომე, იდიოტო? ნეტავ სადამდე მიხვალ. (ირონიით) მთვარე რომ მოეტანათ შენთვის, ყველაფერი შეიცვლებოდა, არა? შეუძლებელი შესაძლებელი გახდებოდა და ერთი დარტყმით ყველაფერი გადასხვაფერდებოდა. რატომაც არა, კალიგულა? ვინ იცის, იქნებ ასეა? (იყურება აქეთ-იქით). თანდათან ამაღლა შემიმცირდა, საინტერესოა. (ყრუ ხმით მიმართავს სარკეს). რაღაც მეტისმეტად ბევრი ცხედარია ირგვლივ, მეტისმეტად ბევრი, სიცარიელე მატულობს, მთვარეც რომ მოეტანათ ჩემთვის, უკან მაინც ვეღარ დავიხევდი. მზის ალერსმა დახოცილები რომც გააცოცხლოს, მკვლელობა მაინც ვერ ჩაიმარხება მიწაში. (გაბრაზებული). ლოგიკას მიჰყევი კალიგულა, ლოგიკას, ბოლომდე გეპყრას ძალაუფლება, ბოლომდე მიჰყევი თავდავიწყებას. უკან ნუ დაბრუნდები, საჭიროა ბოლომდე მისვლა. (შემოდის ხერეა).

სცენა მეექვსე

მოსასხამში გახვეული კალიგულა სკამზეა გადაწოლილი, დაქანცული სახე აქვს.

ხერეა. ჩემი ნახვა გინდოდა, კაიუს?

კალიგულა. (მისუსტებული ხმით). დიახ, ხერეა. მცველებო, ჩირაღდნები (სიჩუმე).

ხერეა. რამე განსაკუთრებული გაქვს სათქმელი?

კალიგულა. არა, ხერეა. (სიჩუმე).

ხერეა. (ოდნავ გაღიზიანებული) ჩემი აქ ყოფნა ნამდვილად აუცილებელია?

კალიგულა. ნამდვილად, ხერეა. (სიჩუმე, მერე აჩქარებით განაგრძობს). მაპატიე, დაბნეული ვარ და ცუდად მიგიღე. დაჯექი, მეგობრულად ვისაუბროთ. მოთხოვნილება მაქვს, ვინმე ჭკვიანს ვესაუბრო.

(ხერეა ჯდება. მთელი პიესის მანძილზე. მარტო ახლა აქვს ბუნებრივი გამომეტყველება).

კალიგულა. ხერეა. გჯერა, რომ სულითა და სიამაყით თანასწორი ორი კაცი, ცხოვრებაში ერთხელ მაინც შეძლებს გულითად ლაპარაკს, იმ პირობით, თუ წინასწარი აზრების, ინტერესებისა და ტყუილებისაგან განთავისუფლდებიან და როგორც შიშვლები, ისე წარუდგებიან ერთმანეთს?

ხერეა. ვფიქრობ, რომ ეს შესაძლებელია, კაიუს, მაგრამ, მე მგონი, შენ ამის უნარი არა გაქვს.

კალიგულა. მართალია. მე მხოლოდ მინდოდა გამეგო, შენც ჩემსავით ფიქრობდი თუ არა. ისევ ავიფაროთ ნიღბები. მოვიშველიოთ ტყუილები. ვილაპარაკოთ ისე, თითქოს თავით ვეხებამდე აღჭურვილები ვიყოთ და ერთმანეთს ვეომებოდით. რატომ არ გიყვარვარ, ხერეა?

ხერეა. იმიტომ, რომ საყვარელი არაფერი გაქვს, კაიუს. თანაც სიყვარული შეკვეთით არ მოდის. იმიტომ, რომ ძალიან კარგად გიცნობ, ხოლო ის სახე, რომელსაც კაცი საკუთარ თავსაც კი უმაღლავს, სხვისთვის დიდი ვერაფერი მოსაწონია.

კალიგულა. რატომ გპულვარ?

ხერეა. აქ კი ცდები, კაიუს, არ მეჯავრები. მე შენ მავნედ და უღმობლად მიმაჩნისხარ. შენ ხარ თავკერძა და პატივმოყვარე. მაგრამ არ მძულხარ, იმიტომ, რომ ბედნიერი არა ხარ. ხოლო არ მეზიზღები, იმიტომ, რომ ლაჩარი არა ხარ.

კალიგულა. მაშ რატომ გინდა ჩემი მოკვლა?

ხერეა. უკვე გითხარი: შენ ხარ მავნე და საშიში. მე კი ვაფასებ უშიშროებას და მჭირდება იგი, როგორც ადამიანთა უმრავლესობას. ამ უმრავლესობას არ შესწევს ძალა იცხოვროს ისეთ სამყაროში, სადაც უცნაურზე უცნაური აზრი წამში სინამდვილედ იქცევა და ეს ისე სწრაფად ხდება, როგორც დანის ჩართყმა მკერდში. არც მე მიყვარს ასეთი სამყარო. მირჩევნია, თავად ვიყო საკუთარი თავის ბატონ-პატრონი.

კალიგულა. უშიშროება და ლოგიკა როგორღაც ვერ ეწყობიან ერთმანეთს.

ხერეა. მართალია, მაგრამ, სამაგიეროდ, უფრო ჯანსაღია ასეთი ქმედება.

კალიგულა. განაგრძე.

ხერეა. მე დავამთავრე. არ მსურს შენი ლოგიკის გაგება. მე სულ სხვანაირად მესახება ჩემი კაცური მოვალეობა. შენი ქვეშევრდომთა უმრავლესობაც ჩემნაირად ფიქრობს. შენ ყველა შეაწუხე და, ბუნებრივია, უნდა გაქრე.

კალიგულა. ეს ყველაფერი ნათელია და კანონიერი. ხალხისათვის კი ხომ ცხადზე უცხადესია. შენთვის კი არ უნდა იყოს ასე: იმიტომ, რომ ჭკვიანი ხარ, ჭკუა კი ან ძვირად ფასობს, ან უარიყოფა. მე ძვირად მიჯდება ჭკუა, შენ კი არც მისი უარყოფა გინდა და არც საფასურის გადახდა?

ხერეა. იმიტომ, რომ მინდა ვიცნო და ბედნიერი ვიყო. ცხოვრება და ბედნიერება შეუძლებელი იქნება, თუ უაზრობა შედეგს გამოიღებს. მეც ისეთი ვარ, როგორც ყველა. იმისთვის, რომ თავისუფლად ვიგრძნო თავი, ზოგჯერ სწორედ იმათ სიკვდილს ვნატრობ, ვინც მიყვარს, ისეთი ქალების მიმართ აღმემრება ხოლმე სურვილი, რაც ოჯახისა და მეგობრების მხრივ მეკრძალება. ლოგიკური რომ ვყოფილიყავი, ან უნდა მეხოცა ხალხი ან დამემორჩილებინა. მაგრამ, მე მგონი, ეს ბუნდოვანი აზრები ძალიან უმნიშვნელოა. ყველა რომ ცდილიყო ამ აზრთა განხორციელებას, მაშინ ვერც ვიცხოვრებდით და ვერც ბედნიერი ვიქნებოდით. აი, რა არის ჩემთვის მთავარი.

კალიგულა. მაშასადამე, საჭიროა, რომ შენ რომელიმე ზემადალი იდეისა გჯეროდეს.

ხერეა. მე მჯერა, რომ არსებობს ერთიმეორეზე უკეთესი საქციელები.

კალიგულა. მე კი მჯერა, რომ ყველა საქციელი ერთნაირია.

ხერეა. ვიცი, კაიუს, ამიტომაც არ მეჯავრები. მაგრამ შენ შემაწუხებელი ხარ და უნდა გაქრე.

კალიგულა. სწორეა, მაგრამ რატომ მეუბნები ამას და რატომ იგდებ საფრთხეში სიცოცხლეს?

ხერეა. იმიტომ, რომ მე თუ აღარ ვიქნები, ვინმე სხვა შემცვლის, ტყუილის თქმა კი არ შემიძლია. (სიჩუმე).

კალიგულა. ხერეა.

ხერეა. გისმენ, კაიუს.

კალიგულა. გჯერა, რომ ორი ერთნაირი სულის და ღირსების კაცს ცხოვრებაში ერთხელ მაინც შეუძლიათ გულითადი საუბარი?

ხერეა. მე მგონი, გულითადად ვსაუბრობდით.

კალიგულა. დიახ, ხერეა, შენ კი გეგონა ამის უნარი არ მქონდა.

ხერეა. შევცდი, კაიუს. ვაღიარებ შეცდომას და მადლობას გიხდით. ეხლა დავუცდი შენს განაჩენს.

კალიგულა. (დაბნეული) ჩემ განაჩენს? ოჰ, შენ გინდა თქვა... (ამოიღებს ფირფიტას მოსასხამიდან) იცნობ ამ ნაწერს, ხერეა?

ხერეა. ვიცოდი, რომ ხელთ გქონდა.

კალიგულა. (გატაცებით) დიახ, ხერეა შენი გულწრფელობა მოჩვენებითი იყო. ორ კაცს შორის გულითადი საუბარი ვერ შედგა. თუმცა, არაფერია. შევწყვიტოთ გულწრფელობის თამაში და ძველებურად განვაგრძოთ. შეეცადე, გაიგო, რასაც ახლა გეტყვი. შენ უნდა შეძლო ჩემგან შეურაცხყოფისა და ჩემი ხასიათის ატანა. ეს ფირფიტა ერთადერთი საბუთია.

ხერეა. მე წავედი, კაიუს, დავიღალე ამდენი მანჭიანობით. მშვენივრად ვიცი ეგ ფირფიტა. მეტი დაცდა აღარ შემიძლია.

კალიგულა. (ისევ გატაცებით) მოიცა, ეს ფირფიტა მართლაც ერთადერთი საბუთია.

ხერეა. არა მგონია, საბუთი გჭირდებოდეს კაცის მოსაკლავად.

კალიგულა. მართალია. ამჯერად ვუღალატებ საკუთარ თავს. ეს არავის შეაწუხებს. იცი, რა კარგია ხოლმე ზოგჯერ პირიქით მოქცევა. პირიქით მოქცევა შვებას მგვრის. მე კი დასვენება მჭირდება, ხერეა.

ხერეა. არ მესმის, რას ამბობ, და არც მიყვარს მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი.

კალიგულა. აბა რა, შენ ხომ ჯანსაღი კაცი ხარ. არაფერი არაჩვეულებრივი არ გსურს. (იცინის) შენ გსურს იცხოვრო და იბედნიერო. მარტო ეს გინდა.

ხერეა. აღარ გვინდა მეტი ლაპარაკი.

კალიგულა. მოიცა. ცოტა მოითმინე, კარგი? ნახე, მე ხელში მაქვს საბუთი. მე მინდა მეგონოს, რომ ამის გარეშე ვერ მოვაკვლევინებ შენს თავს, ეს არის ჩემი აზრი და ჩემი მოსვენებაც. აბა, შეხედე, რა ემართება საბუთებს იმპერატორის ხელში. (ფირფიტას ჩირაღდანთან მიიტანს, ხერეაც მივა, ფირფიტა დნება). ხედავ, კონსპირატორო. დნება ფირფიტა, და მის გაქრობასთან ერთად სახეზე უდანაშაულობის სხივი გეფინება. სუფთა კაცის შესანიშნავი შუბლი გაქვს, ხერეა რა ლამაზი სანახავია, უდანაშაულო კაცი, რა ლამაზი. დააფასე ჩემი ძალაუფლება. ღმერთებსაც კი არ ძალუძთ უდანაშაულობა დაუბრუნონ კაცს დასჯის გარეშე. შენი იმპერატორისთვის კი ცეცხლის ალია საკმარისი, რომ გაგამართლოს და გაგამხნევოს. განაგრძე, ხერეა, დაასრულე შენი შესანიშნავი მსჯელობა. შენი იმპერატორი დასვენებას ელის. აი, როგორია მისებური ცხოვრებისა და ბედნიერების წესი.

ხერეა გაშტერებული უყურებს კალიგულას. მერე ხელს ჩაიქნევს, იმის ნიშნად, რომ მიხვდა და უცებ გადის. კალიგულას კი ისევ უჭირავს ფირფიტა ცეცხლზე და მზერას აყოლებს ხერეას.

ფარდა

მეოთხე მოქმედება

სცენა პირველი

ნახევრად ჩაბნელებული სცენა. შემოდინ ხერეა და სციპიონი. ხერეა ჯერ მარჯვნივ მიდის, მერე მარცხნივ, ბოლოს ბრუნდება სციპიონთან.

სციპიონი. (შუბლშეკრული) ჩემგან რა გინდა?

ხერეა. დრო არ ითმენს. ჩვენ მტკიცედ უნდა გვწამდეს ის, რის გაკეთებასაც ვაპირებთ.

სციპიონი. საიდან მოიტანე, რომ სიმტკიცე მაკლია?

ხერეა. თუნდაც იქიდან, რომ გუშინდელ შეკრებაზე არ მოხვედი.

სციპიონი. (შეტრიალდება). სწორე ხარ, ხერეა.

ხერეა. სციპიონ, შენზე უფროსი ვარ და ჩვევადაც არა მაქვს დახმარების თხოვნა. მაგრამ, რაც მართალია, მართალია, ახლა შენი შველა მჭირდება. კალიგულას სიკვდილზე პატივსაცემმა პირებმა უნდა აგონ პასუხი. ამდენ თავმოყვარეობაშელახულ და შიშით შეპყრობილ ხალხში კი მხოლოდ შენ და მე გვაქვს ნაღდი მიზეზი სამოქმედოდ. ვიცი, რომც მიგვატოვო, მაინც არ გვიღალატებ, მაგრამ ეს ჩემთვის სულერთია. მე მთელი არსებით მსურს, რომ ჩვენს გვერდით დარჩე.

სციპიონი. მესმის შენი, მაგრამ გეფიცები, არ შემიდლია.

ხერეა. მაშ, მის მხარეზე ხარ?

სციპიონი. არა, მაგრამ არც წინააღმდეგი ვარ მისი. (პაუზა, მერე ყრუდ). რომც მოვკლა, ჩემი გული მაინც მისკენ იქნება.

ხერეა. აკი მამა მოგიკლა მან.

სციპიონი. სწორედ აქედან იწყება ყველაფერი და აქვე მთავრდება.

ხერეა. ის ხომ უარყოფს შენს აზრებს და დასცინის ყველაფერს, რასაც შენ პატივს სცემ.

სციპიონი. მართალი ხარ, ხერეა, მაგრამ მაინც არის ჩემში რაღაც ისეთი, რაც მას ჰგავს; შენ წარმოიდგინე, ორივეს ერთი ცეცხლი გვიხრუკავს გულს.

ხერეა. დგება ხოლმე ჟამი, როცა კაცმა გადამწყვეტი არჩევანი უნდა გააკეთოს. პირადად მე, თუკი რამ გამაჩნდა მისი მსგავსი, ერთბაშად დავითრგუნე.

სციპიონი. მე კი არ შემძლია არჩევანის გაკეთება, რადგან ორმაგად ვიტანჯები. ცალკე ჩემი თავი მტანჯავს და ცალკე ის. უბედურება იმაშია, რომ მე ყველაფერი მესმის.

ხერეა. მაშ შენ არჩიე მისი გამართლება?

სციპიონი. (ყვირილით) გაჩუმდი, ხერეა, გთხოვ, ჩემს თვალში, არასოდეს არავინ არ იქნება მართალი. (პაუზა, ერთმანეთს უყურებენ).

ხერეა. (აღელვებული უახლოვდება სციპიონს) იცი, მე ის კიდევ უფრო მეზიზღება, იმიტომ, რომ შენ ასეთად გადაგაქცია.

სციპიონი. დიახ, ხერეა, მან მე მომთხოვნელობა მასწავლა.

ხერეა. არა, სციპიონ, კალიგულამ შენ სასოწარკვეთილებამდე მიგიყვანა. ახალგაზრდა კაცის უიმედო მდგომარეობაში ჩაგდება, მის მიერ ჩადენილ ყველა დანაშაულს აჭარბებს. მარტო თუნდაც ამიტომ, დიდი სიამოვნებით მოვკლავდი მას. (გადის. შემოდის ჰელიკონი).

სცენა მეორე

ჰელიკონი. სწორედ შენ გეძებდი, ხერეა. კალიგულა აქ პატარა მეგობრულ თავშეყრას აწყობს და უნდა მოუცადო. (მიუბრუნდება სციპიონს). შენ არ გვჭირდები, ჩემო მტრედო, შეგიძლია, წახვიდე.

სციპიონი. (გასვლამდე ხერეას მიუბრუნდება) ხერეა.

ხერეა. (მშვიდად) გისმენ, სციპიონ.

სციპიონი. ეცადე, გაიგო.

ხერეა. (ძალზე მშვიდად) ვერ გავიგებ, სციპიონ.

სციპიონი და ჰელიკონი გადიან.

სცენა მესამე

კულისებიდან ისმის იარაღის ჟღარუნნი. მარჯვნივ ორი მცველი გამოჩნდება, მოჰყავთ ხანშიშესული პატრიციუსი. ყველა შეშინებულია.

პირველი პატრიციუსი. (მცველს, მოჩვენებითი სიმტკიცით) რა გინდათ ამ შუადამისას?

მცველი. იქით დაჯექი. (მიუთითებს მარჯვენა სკამზე).

პირველი პატრიციუსი. თუ ჩვენი მოკვლა გაქვთ განზრახული, სხვებისა არ იყოს, რა საჭიროა ამდენი ამბავი.

მცველი. იქით დაჯექი, ბებერო ვირო.

ხნიერი პატრიციუსი. დავსხდეთ. ჩანს ამ კაცმა არაფერი იცის.

მცველი. არაფერი, ლამაზო ქალო. (გადის).

სცენა მეოთხე

ხერეა. (დინჯად ჯდება) რა ხდება?

პირველი პატრიციუსი და ხნიერი პატრიციუსი. შეთქმულება გამოააშკარავეს.

ხერეა. მერე?

ხნიერი პატრიციუსი. (კანკალით) მერე ის, რომ დიდი ტანჯვა-წამება მოგველის.

ხერეა. (აუღელვებლად) მახსოვს, კალიგულამ ოთხმოცდაერთი ათასი სესტერცია* (*სესტერცია-ძველევგიპტური საკრავი (მთარგმნელის შენიშვნა).) უბოძა ერთ ქურდ მონას, რაკი მან წამების მიუხედავად არაფერი აღიარა.

პირველი პატრიციუსი. მაგ იმედზე ვიყოთ?

ხერეა. არა, უბრალოდ აქედან ჩანს, რომ კალიგულას მოსწონს ვაჟკაცური საქციელი. გაითვალისწინეთ. (ხნიერ პატრიციუსს) არ შეგიძლია, შეწყვიტო კბილების კაწკაწი? ვერ ვიტან კაწკაწს.

ხნიერი პატრიციუსი. ეს იმიტომ...

პირველი პატრიციუსი. კმარა მანჭვა-გრეხა. ჩვენი სიცოცხლე საფრთხეშია.

ხერეა. (წარბშეუხრელად) იცით, რომელია კალიგულას საყვარელი სიტყვა?

ხნიერი პატრიციუსი. (სატირლად გამზადებული). ვიცით, სიტყვა, რომელსაც ჯალათს ეუბნება ხოლმე: «ნელა მოკალი, რომ იგრძნოს სიკვდილიო».

ხერეა. არა, უფრო უკეთესი გამოთქმაცა აქვს. სიკვდილით დასჯის შემდეგ ამთქნარებს და სერიოზულად ამბობს ხოლმე: «ყველაზე უფრო მეტად აღტაცებაში საკუთარ უგრძნობლობას მოვყავარო».

პირველი პატრიციუსი. გესმით? (იარაღის ჟღარუნით).

ხერეა. ასეთ სიტყვას მარტო სუსტი ადამიანი თუ იტყვის.

ხნიერი პატრიციუსი. არ შეგიძლია ფილოსოფიის გარეშე? რომ იცოდე, როგორ მძულს ფილოსოფია. (სცენის სიღრმეში შემოვა მონა, იარაღს შემოიტანს და სკამზე დააწყობს).

ხერეა. (არაფერი დაუნახავს). მაგრამ, რაც მართალია, მართალია. ამ კაცს დიდი გავლენა აქვს ყველაზე. ის გვაიძულებს, დავფიქრდეთ. დიახ, ყველას გვაიძულებს, ვიფიქროთ. ფიქრამდე კი საფრთხეს მიჰყავს კაცი. ამიტომაც, ასე რომ სძულთ კალიგულა.

ხნიერი პატრიციუსი. (კანკალით) გაიხედე.

ხერეა. (იარაღის დანახვაზე ფერი ეცვლება) შეიძლება, შენ მართალი იყავი.

პირველი პატრიციუსი. დიახ, გაკვეთილია ეს ჩემთვის, მაგრამ, ვაი, რომ დაგვიანებული.

ხნიერი პატრიციუსი. რა უაზრობაა. მე არ მინდა სიკვდილი.

ადგება. გაქცევას დააპირებს. ორი მცველი დაიჭერს და სილას გააწნიან. პირველი პატრიციუსი საკუთარ სკამზე დაეხეთქება. ხერეა რაღაცას ბუტბუტებს. უცებ გაისმის უცნაური, უსიამო, წყვეტილი ჰანგი წინწილებისა და სისტრისა.* (*სისტრი-მველეგვიპტური საკრავი. (მთარგმნელის შენიშვნა).) პატრიციუსები ჩუმდებიან. სცენის სიღრმეში დაკიდულ ფარდის მიღმა გამოჩნდება კალიგულა მოცეკვავე ქალის მოკლე კაბაში, თავზე ყვავილებით. გააკეთებს რამდენიმე უჩვეულო საცეკვაო ილეთს და ქრება. ერთი მცველი საზეიმოდ აცხადებს: «წარმოდგენა დამთავრდა». ამასობაში შემოდის ცეზონია მაცურებლისაკენ

ზურგშექცეული. ლაპარაკობს უგულოდ და უსახურად. მისი ხმის გაგონებაზე პატრიციუსები შეკრთებიან.

სცენა მეხუთე

ცეზონია. კალიგულამ დამავალა, გითხრათ, რომ თუ ის აქამდე სახელმწიფო საქმეებისათვის გიბარებდათ ხოლმე, ამჯერად გადაწყვიტა, რომ მასთან ერთად გაიზიაროთ ხელოვნებით აღძრული ემოცია. (პაუზა. მერე ისევ განაგრძობს) კალიგულა ამბობს, რომ ვინც უარს გაბედავს, თავი გაეპობა შუაზე. (სიჩუმე). მაპატიეთ, რომ ასე ჩაგაცივდით, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ, ლამაზია თუ არა ეს ცეკვა.

პირველი პატრიციუსი. (ყოყმანის შემდეგ) ლამაზია, ცეზონია.

ცეზონია. შენ რას ფიქრობ, ხერეა?

ხერეა. (ცივად) ეს იყო დიდი ხელოვნება.

ცეზონია. ძალიან კარგი. ახლავე მოვახსენებ კალიგულას.

სცენა მეექვსე

შემოდის ჰელიკონი.

ჰელიკონი. მართალი თქვი, ხერეა, კალიგულას ცეკვა დიდი ხელოვნებაა?

ხერეა. გარკვეული გაგებით, კი.

ჰელიკონი. გასაგებია, შენ ძლიერი კაცი ხარ, ხერეა. მაგრამ პატიოსანი კაცივით ყალბი. მართლა ძალიან ძლიერი ხარ. შენოდენა ძალა მე არ გამაჩნია, მაგრამ მაინც არ მოგცემ უფლებას, რომ კაიუსს შეეხო, თვით კაიუსმაც რომ ინდომოს ეს.

ხერეა. ვერაფერი გავიგე შენი ნათქვამიდან. მაგრამ, მაინც მივესალმები შენს თავდადებას. მიყვარს კარგი მსახურები.

ჰელიკონი. თავი მოგაქვს, არა? მართალია, მე გიჟის მსახური ვარ, მაგრამ შენ, შენ ვილას ემსახურები? სიკეთეს? ახლავე მოვახსენებ ჩემს აზრს სიკეთეზე. მე მონად დავიბადე. მაშასადამე, პატიოსანო კაცო, მაგ თქვენი სიკეთის ჰანგზე, პირველად მათრახის ქვეშ

ვიცეკვე... კაიუსს ბევრი არ ულაპარაკია, გამანთავისუფლა და სასახლეში წამომიყვანა. ასე მოვახერხე თქვენნაირი სიკეთის მსახურების გაცნობა.

მე დავინახე, რომ გქონდათ ჭუჭყიანი სახეები და უბადრუკი, მდარე სუნი, ტანჯვა რა არის, არ იცოდით და თავიც არასოდეს გაგიწირავთ. დავინახე თქვენი კეთილშობილური ჩაცმულობა, გაცვეთილი გულეები, ძუნწი სახე და დაუნდობელი მკლავი. თქვენ და სამართალი...? თქვენ, ვინც სათნოებით ვაჭრობთ, და სიმშვიდეზე ოცნებობთ, როგორც ქალი სიყვარულზე, თქვენ, ვინც ისე მოკვდებით, რომ ვერ გაიგებთ მთელი სიცოცხლე რომ ტყუოდით, თქვენ, თქვენ ზედავთ იმის გასამართლებას, ვინც მთელი სიცოცხლე იტანჯება, და რომელსაც ყოველდღე სისხლი სდის ათასობით ახალი ჭრილობიდან? მიჩვენია, უწინ მე დამარტყათ. დაე, გძულდეს მონა, ხერეა. მონა შენ სიკეთეზე მაღლა დგას, რადგან მას შესწევს უნარი თავისი საბრალო პატრონის სიყვარულისა, რადგან ის დაიცავს თავის პატრონს თქვენი კეთილშობილური ტყუილებისაგან, და თქვენი მოლალატე ენისაგან...

ხერეა. ძვირფასო ჰელიკონ, შენ რაღაცა ლაპარაკის საღერღელი აგშლია, გულწრფელად გეტყვი, უწინ უკეთესად მსჯელობდი.

ჰელიკონი. ძალიან ვწუხვარ. ეს იმის ბრალია, რომ ხშირად მიწევს თქვენთან შეხვედრა. ხომ გაგიგონიათ, თურმე ხანშიშესული ცოლ-ქმარი იმდენად ემსგავსებიან ერთმანეთს, რომ ყურში თანაბარი რაოდენობით ამოსდით ბალანი. ჩემი ფიქრი ნუ გაქვს, შევძლებ თავის ხელში აყვანას, მაგრამ, შეხედე ჩემს სახეს? კარგად შეხედე. ძალიან კარგი. იცოდე, ეს შენი მტრის სახეა. (გადის).

სცენა მეშვიდე

ხერეა. ახლა კი უნდა ვიჩქაროთ. ორივენი აქ დარჩით. სადამოს უკვე ასნი ვიქნებით.

ხნიერი პატრიციუსი. დარჩით, დარჩით. მე კი აქედან წასვლა მინდა. (იწყებს ხმამაღლა ყნოსვას). სიკვდილის სუნი მცემს.

პირველი პატრიციუსი. ან სიცრუის. (ნაღვლიანად) მე ხომ ვთქვი, რომ კალიგულამ ლამაზად იცეკვა.

ხნიერი პატრიციუსი. (ნაღვლიანად) გარკვეული გაგებით, ლამაზად იცეკვა. (ქარივით შემოიჭრებიან პატრიციუსები და მხედრები).

სცენა მერვე

მეორე პატრიციუსი. რა ხდება? ხომ არ იცით რა ხდება? იმპერატორმა გამოგვიძახა.

ხნიერი პატრიციუსი. ალბათ ცეკვის გამო დაგიძახათ.

მეორე პატრიციუსი. რა ცეკვის გამო?

ხნიერი პატრიციუსი. ანუ, ხელოვნებით აღძრული ემოციის გამო.

მესამე პატრიციუსი. მე კი მითხრეს, რომ კალიგულა ძალიან ავად ყოფილა.

პირველი პატრიციუსი. მართალია.

მესამე პატრიციუსი. რა დაემართა? (გახარებული) ღმერთებო, ნეტავ თუ კვდება?

პირველი პატრიციუსი. არა მგონია. მისმა ავადმყოფობამ სხვა შეიძლება მოკლას მხოლოდ.

ხნიერი პატრიციუსი. ასეა ბატონებო, ასე.

მეორე პატრიციუსი. მესმის შენი. თუმცა, რა იცი, იქნებ მისთვის საშიში და ჩვენთვის ხელსაყრელი ავადმყოფობა სჭირს?

პირველი პატრიციუსი. არა, მისი ავადმყოფობა არ შეიძლება ორაზროვანი იყოს, ნება მიბოძეთ, წავიდე. ხერეა მყავს სანახავი. (გადის. შემოდის ცეზონია, სიჩუმე.)

სცენა მეცხრე

ცეზონია. (გულგრილად) კალიგულას კუჭი აწუხებს. სისხლი ამოარწყია. (პატრიციუსები მივარდებიან).

მეორე პატრიციუსი. ოო. ყოვლადძლიერო ღმერთებო, აღქმას გაძლევთ, თუ ის გამოჯანმრთელდება, ორას ათას სესტერციას შევიტან სახელმწიფო ხაზინაში.

მესამე პატრიციუსი. (ყალბი პათეტიკურობით) იუპიტერო, მიიღე ჩემი სიცოცხლე მის ნაცვლად.

კალიგულა. (შემოვა და უსმენს. მერე, მიდის მეორე პატრიციუსთან და ეუბნება:) ვღებულობ შენ შესაწირავს, ლუციუს, დიდი მადლობა. ჩემი ხაზინადარი ხვალვე მოვა შენთან. (მიდის

მესამე პატრიციუსთან და ეხვევა) ვერ წარმოიდგენ როგორ ამიჩუყე გული (სიჩუმე). მამ, გიყვარვარ?

მესამე პატრიციუსი. (გაბადრული) ოო, ცეზარ, შენს გამო მზად ვარ ყველაფერი გავიღო, ახლავე.

კალიგულა. (ისევ ეხვევა). გეყოფა, კასიუს, არ დამიმსახურებია ასეთი სიყვარული. (კასიუსი ჯიუტობს) არა, არა მე უღირსი ვარ. (ემახის მცველებს) წაიყვანეთ. (კასიუსს, ტკბილად) წადი, მეგობარო. გახსოვდეს, რომ კალიგულამ თავისი გული გიძღვნა.

მესამე პატრიციუსი. (შეშფოთებული) სად მიყვარ მცველებს?

კალიგულა. სიკვდილთან. შენ ხომ სიცოცხლე გაიღე ჩემთვის. მე უკვე უკეთ ვგრძნობ თავს. პირში სისხლის საზიზღარი გემოც აღარა მაქვს. შენ მე განმკურნე. ბედნიერი ხარ, კასიუს რომ შენი სიცოცხლე სხვისთვის გაიღე, იმ სხვისთვის, კალიგულა რომ ქვია სახელად. მე უკვე ქეიფიც შემიძლია.

მიათრევენ მესამე პატრიციუსს, რომელიც წინააღმდეგობას უწევს მცველებს და ღრიალებს.

მესამე პატრიციუსი. გამიშვით. ეს ხომ ხუმრობა იყო.

კალიგულა. (მეოცნებეს იერით) მალე, საზღვაო გზები მიმოზებით დაიფარება, ქალები ჩაიცვამენ მსუბუქ კაბებს. ცა იქნება დიდი და სუფთა, კასიუს. სიცოცხლე გაიღიმებს. (კასიუსი გასვლას აპირებს. ცეზონია მსუბუქად წაჰკრავს ხელს. კალიგულა მოტრიალდება და სერიოზულად განაგრძობს). შენ რომ სიცოცხლე გყვარებოდა, მეგობარო, ასე თამამად არ გაათამაშებდი მას. (კასიუსს გაათრევენ, კალიგულა მაგიდისაკენ შემობრუნდება).

... და როცა აგებ, უნდა გადაიხადო კიდევ. (პაუზა). ცეზონია, მოდი აქ. (მერე სხვებსაც მიმართავს). ერთი ლამაზი აზრი დამებადა და მინდა, თქვენც გაგანდოთ. დღემდე ბედნიერი მეფობა მქონდა. არც შავი ჭირი გაჩენილა, არც დაუნდობელ რელიგიას შევუწუხებია, არც სახელმწიფო გადატრიალება მომხდარა. მოკლედ, არაფრისათვის არ დაღუპულან თქვენი შვილები. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, ბედისწერისთვის სამაგიერო დამეხადა, ესე იგი... არ ვიცი, მიმიხვდით თუ არა (ოდნავი სიცილით), ბევრი რომ არ გავაგრძელო, მე ვარ ჭირის მაგიერი. (ხმას იცვლის) ჩუმად, ხმა არ გავიგო, აი, ხერეაც, ახლა კი შენი ჯერია, ცეზონია.

გადის. შემოდინ ხერეა და პირველი პატრიციუსი.

სცენა მათე

ცეზონია მკვირცხლად გაირბენს ხერეასკენ.

ცეზონია. კალიგულა მოკვდა. (შეტრიალდება. თითქოს ტირისო, და მიაშტერდება გაჩუმებულ პატრიციუსებს. ყველა დაღვრემილია, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით).

პირველი პატრიციუსი. შენ დარწმუნებული ხარ, რომ ეს უბედურება მოხდა? კი მაგრამ, სულ ახლა არ იყო, რომ ცეკვავდა?

ცეზონია. სწორედ ამ ცეკვამ იყო, რომ მოინელა. (ხერეა მიდი-მოდის პატრიციუსებს შორის, მერე უახლოვდება ცეზონიას. ყველა ჩუმადაა).

ცეზონია. (ნელ-ნელა განაგრძობს) შენ არაფერს ამბობ, ხერეა?

ხერეა. ეს რა დიდი უბედურება დაგვატყდა, ცეზონია. (ჯიქურ შემოიჭრება კალიგულა და ხერეასთან მივა).

კალიგულა. რა კარგად გაითამაშე როლი, ხერეა. (შემოტრიალდება და სხვებს შეხედავს, მერე ხუმრობით განაგრძობს:) რას იზამ, ჩაიშალა. (ცეზონიას) არ დაგავიწყდეს, რა გითხარი. (გადის).

სცენა მეთერთმეტე

ცეზონია ჩუმად უთვალთვალავს მის გასვლას.

ხნიერი პატრიციუსი. (ოდნავ იმედნარევი ხმით) ავად ხომ არ არის, ცეზონია?

ცეზონია. (ზიზღით) არა, ლამაზო ქალო, შენ ალბათ არც კი იცი, რომ ამ კაცს ღამეში ორი საათი სძინავს, და რომ დანარჩენ დროს სასახლის შუშაბანდებში ხეტიალს ანდომებს. იმიტომ, რომ ვერ ისვენებს. რატომ არ დაფიქრებულხარ იმაზე, თუ რა აწუხებს ამ კაცს შუა ღამიდან შუის ამოსვლამდე ამ მომაკვდინებელი საათების განმავლობაში. ავად ხომ არ არის? არა. თუმცა, იქნებ შენ გამოიგონო სახელი და წამლები იმ წყლულებისათვის, რითაც მისი სულია მოფენილი.

ხერეა. (ვითომ ღელავს). მართალი ხარ, ცეზონია, მაგრამ ჩვენ არ გამოგვპარვია, რომ...
კაიუსი...

ცეზონია. (მოუჭრის). მართალია, არ გამოგპარვიათ, მაგრამ თქვენ სული არ გაგაჩნიათ და, აბა როგორ აიტანთ იმათ, ვისაც ჭარბადა აქვთ სული მომადლებული. ჭარბი სულის ხალხი, აი, ვინ გაწუხებთ თქვენ, ამიტომ მოუგონეთ კალიგულას ავადმყოფობა: ამით გამართლებასაც ნახულობთ, თავხედებო, და კმაყოფილებიც ხართ. (შეცვლილი ხმით). შენ ოდესმე თუ გყვარებია ვინმე, ხერეა?

ხერეა. (იგივე ტონით) საამისოდ ჩვენ უკვე დავბერდით, ცეზონია. კალიგულაც არ მოგვცემდა ამის დროს, რომც გვინდოდეს.

ცეზონია. (თავშეკავებული) მართლა, (ჯდება), კინალამ დამავიწყდა კალიგულას დანაბარები. მოგეხსენებათ, რომ დღევანდელი დღე ხელოვნებას ეძღვნება.

ხნიერი პატრიციუსი. კალენდარში წერია?

ცეზონია. არა, კალიგულამ ისურვა ასე. მან რამდენიმე პოეტი უკვე მოიწვია. ამ პოეტებმა ლექსი უნდა შეთხზან კალიგულას მიერ შეთავაზებულ რაიმე თემაზე. კალიგულას ნებავს, რომ ვინც თქვენში პოეტია, ყველამ მიიღოს მონაწილეობა, განსაკუთრებით კი, სციპიონითა და მეტელუსით არის დაინტერესებული.

მეტელუსი. ჩვენ რომ მზად არა ვართ?

ცეზონია. (თითქოს არც გაუგონიაო, გულგრილად განაგრძობს) მერე მოხდება დაჯილდოებაც და დასჯაც. (გრძნობს, პატრიციუსები უკან იხევენ) მაგრამ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ დასჯა არ იქნება სერიოზული. (შემოდის კალიგულა, პირმოღუმული).

სცენა მეთერმეტე

კალიგულა. ყველაფერი მზად არის?

ცეზონია. ყველაფერი. (მცველს)-შემოიყვანეთ პოეტები.

შემოდის ორ მწკრივად დაწყობილი პოეტები. სულ, თორმეტიოდე... მწყობრი ნაბიჯებით ჩაივლიან მარჯვნივ.

კალიგულა. სხვები სად არიან?

ცეზონია. სციპიონ, მეტელუს.

ორივენი უერთდებიან პოეტებს, კალიგულა შუაში ჯდება-ცეზონიასა და პატრიციუსებს შორის. სიჩუმე.

კალიგულა. თემა: სიკვდილი, მოფიქრებისათვის-ერთი წუთი. (პოეტები იწყებენ წერას ფირფიტებზე).

ხნიერი პატრიციუსი. ჟიურში ვინ იქნება?

კალიგულა. მე. განა საკმარისი არ არის?

ხნიერი პატრიციუსი. დიახ, სავსებით საკმარისია.

ხერეა. შენც მონაწილეობ კონკურსში, კაიუს?

კალიგულა. აზრი არა აქვს. მე უკვე კარგა ხანია შევთხზე ჩემი ლექსი ამ თემაზე.

ხნიერი პატრიციუსი. (თავაზიანად) სად შეიძლება ამის წაკითხვა?

კალიგულა. მე ყოველდღე ჩემებურად გიკითხავთ ლექსს სიკვდილზე.

(ცეზონია შეწუხებული შეხედავს).

კალიგულა. (უხეშად) რა იყო, არ მოგწონვარ?

ცეზონია. მაპატიე.

კალიგულა. ოო. რა საჭიროა ამდენი მორჩილება? უამისოდაც უკვე ძალიან მიჭირს შენი ატანა. (ცეზონია ნელ-ნელა ადის ზევით... კალიგულა ამჯერად ხერეას მიმართავს). ჰო, ზემოხსენებული ქმნილება ჩემი ერთადერთი ნაწარმოებია. და, ამ ერთადერთმა ნაწარმოებმა დაადასტურა, რომ ჩემნაირი ხელოვანი რომს არა ჰყოლია. თანაც, მე ის ერთადერთი კაცი ვარ, ხერეა, რომლის არანაირი ჩანაფიქრი განუხორციელებელი არ რჩება.

ხერეა. იმიტომ, რომ შენს ხელშია ძალაუფლება.

კალიგულა. მართალია. სხვები იმიტომ ქმნიან ნაწარმოებებს, რომ ძალაუფლება არ გააჩნიათ. მე კი სულაც არ მჭირდება ნაწარმოებების შექმნა, იმიტომ, რომ მე უამისოდაც ვცხოვრობ. (უხეშად) თქვენ, ეი, მზადა ხართ?

მეტელუსი. დიახ.

ყველა. დიახ.

კალიგულა. მაშ ასე, თქვენ წინ დადგებით. ჩემს დასტვენაზე, პირველი თქვენთაგანი დაიწყებს კითხვას. როცა მეორედ დავუსტვენ, გაჩერდებით და შემდეგი დაიწყებს კითხვას. და ასე შემდეგ. გაიმარჯვებს, რა თქმა უნდა, ის, ვისაც არ დავუსტვენ. მოემზადეთ. (მიუბრუნდება ხერეას და ნდობით მიმართავს) ხომ იცი, ყველაფერს პატრონობა სჭირდება, ხელოვნებასაც კი. (სასტვენის ხმა).

პირველი პოეტი. მოკვდა, შავ ნაპირს მიღმა...

სასტვენი. პოეტი ჩადის მარცხნივ. სხვებიც იგივეს აკეთებენ მექანიკურად.

მეორე პოეტი. მღვიმეში მჯდარი სამივე პარკა...* (*სამი პარკა-კლოტო, ლაშეზისი და ატროპოსი. ლათინური მითოლოგიით, ჯოჯოხეთის ქალღმერთები, ბერძნული

მითოლოგიით, მოირები. სამი პარკა ადამიანის ბედისწერას ქსოვდა (მთარგმნელის შენიშვნა.) (სასტვენი)

მესამე პოეტი. გიხმობ, სიკვდილო...

მეოთხე პოეტი წარსდგება წინ, ხელოვნურად გაიჯგიმება. სასტვენი მანამდე გაისმის, სანამ ის ხმას ამოიღებდეს.

მეხუთე პოეტი. როცა ვიყავი პატარა...

კალიგულა. (ღრიალით). არა. ვიღაცა შტერის ბავშვობას რა კავშირი უნდა ჰქონდეს მოცემულ თემასთან?

მეხუთე პოეტი. კაიუს, ჯერ ხომ არ დამიმთავრებია... (გამყინავი სტვენა).

მეექვსე პოეტი. (შთაგონებით) ო, იდუმალო ბუნდოვანო ლოცვაგ...

მეშვიდე პოეტი. (იდუმალი ხმით) ამოუცნობო და დაფანტულო ლოცვაგ (სტვენა. სციპიონი მოდის ფირფიტის გარეშე).

კალიგულა. შენი ჯერია, სციპიონ. ნაწერი არა გაქვს?

სციპიონი. არ მჭირდება.

კალიგულა. დაიწყე. (სასტვენს პირში ატრიალებს. სციპიონი არც კი გაიხედას კალიგულასკენ, ისე დაიწყებს დაღლილი ხმით:)

სციპიონი. «ბედნიერებაზე ნადირობა, რაიცა განწმენდს ადამიანს, ცა, სადაც მზე მოედინება, ველური და ერთადერთი ნადირობა, ჩემო უიმედო... ბოდვაგ...»

კალიგულა. (გულთბილად). შეჩერდი, შენ ძალიან ახალგაზრდა ხარ იმისთვის, რომ მართლა გქონდეს ნაგრძნობი სიკვდილი.

სციპიონი. (თვალს თვალში გაუყრის). მამა რომ მომიკვდა, მაშინაც ძალიან ახალგაზრდა ვიყავი.

კალიგულა. (შემოტრიალდება) აბა, ყველამ დაიკავოს თავისი ადგილი. ჩემი გემოვნების კაცისთვის ყველაზე დიდი სასჯელი ყალბი პოეტია. დღემდე ვოცნებობდი, რომ თანამოაზრეებად მყოლოდით და მეგონა, რომ საბოლოოდ ჩემი დამცველები თქვენ იქნებოდით. თურმე ვცდებოდი. ამიერიდან თქვენ ჩემი მტრების რიგებში გადაგისვრით. პოეტები ჩემს წინააღმდეგ გამოდიან, მაშასადამე, აღსასრულიც კარზეა მომდგარი. აბა, მწკრივში მოეწყვეთ. თქვენ ახლა გაივლით ჩემს წინ და ალოკავთ თქვენს ფირფიტებს, რომ წაიშალოს თქვენივე უნიათობის კვალი. ყურადღება. წინ. (ისმის რიტმული სტვენა. პოეტები მწყობრად გადიან მარჯვნივ და ლოკავენ თავიანთ უკვდავ ფირფიტებს).

კალიგულა. (ჩუმად) ყველა გავიდეს.

კართან ხერეა დაიჭერს პირველ პატრიციუსს.

ხერეა. ხელსაყრელი მომენტი.

ახალგაზრდა სციპიონმა გაიგონა ხერეას ნათქვამი, შეჩერდა კართან და მივიდა კალიგულასთან.

კალიგულა. (ბოროტად) არ დამანებებ თავს? მიზაძე მამაშენს.

სცენა მეცამეტე

სციპიონი. არ გინდა, კაიუს, ნუ იზამ მაგას. ვიცი, რომ შენ არჩევანი უკვე გაკეთებული გაქვს.

კალიგულა. თავი დამანებე.

სციპიონი. მართლა განებებ თავს, იმიტომ, რომ ყველაფერს მიუხვდი, აღარც შენთვის და აღარც ჩემთვის-შენნაირისთვის, გამოსავალი აღარ არსებობს. მე წავალ შორს, რომ გავიაზრო ყოველივე ეს. (პაუზა. შეხედავს კალიგულას და ხაზგასმით ეტყვის) მშვიდობით, კაიუს, როცა ყველაფერი დამთავრდება, არ დაგავიწყდეს, რომ მე შენ მიყვარდი.

გადის. კალიგულა უყურებს, რაღაცას ანიშნებს, მაგრამ ბოლოს მაინც ცეზონიასთან მივა.

ცეზონია. რა გითხრა?

კალიგულა. შენი გონება ამას ვერ მიხვდება.

ცეზონია. რაზე ფიქრობ?

კალიგულა. მასზე, შენზეც, თუმცა ეს ერთი და იგივეა.

ცეზონია. რა მოხდა?

კალიგულა. (უყურებს) სციპიონი წავიდა. მაშ ასე, მეგობრობასთანაც გაწყდა კავშირი. მართლა, აქ რას უდგებარ?

ცეზონია. იმას, რომ შენ მე მოგწონვარ.

კალიგულა. არა, მაგიტომ არა. თუ შენს თავს ვინმეს მოვაკვლევინებდი, მაშინ მიხვდებოდი ყველაფერს.

ცეზონია. კარგი გამოსავალია. მაშ, რატომღა არ აკეთებ ამას? ერთი წუთით მაინც არ შეგიძლია, თავისუფალი იყო?

კალიგულა. მე უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც თავისუფლად ვცხოვრობ.

ცეზონია. მე სულ სხვანაირად მესმის თავისუფლება. გთხოვ, კარგად გაიგო. ჩემი აზრით, ეს არის ცხოვრება და გულწრფელი სიყვარული ერთად აღებული.

კალიგულა. გულწრფელობა და სიწმინდე ყველას თავისებურად ესმის. ჩემთვის მთვარის ძიებაა სიწმინდე; თუმცა, ეს სულაც არ მიშლის ხელს ხალხის ხოცვაში. თუნდაც შენს მოკვლაში. (იციან). ეს კი მართლაც ჩემი კარიერის გვირგვინი იქნებოდა. (კალიგულა დგება, ატრიალებს სარკეს, თვითონაც წრეში ტრიალებს, მკლავები უმოძრაოდ ჰკიდია.) შეიძლება გაგეცინოს, მაგრამ როცა არავის ვკლავ, თავს მარტო ვგრძნობ. ჩანს, მარტო ცოცხლები ვერ ავსებენ სამყაროს და ვერ ერევიან სევდას. მე თქვენში ვხედავ უსასრულო სიცარიელეს. მე თავს კარგად მხოლოდ მიცვალებულებს შორის ვგრძნობ. (მაყურებელთა წინ დგება და ოდნავ გადმოიხრება. ცეზონია დროებით ავიწყდება.) მხოლოდ მიცვალებულები არიან ჩემსავით ჭეშმარიტნი. ისინი მე მიცდიან და მაჩქარებენ. (თავს აქნევს). მე დაუსრულებელი დიალოგები მაქვს გამართული იმ ხალხთან, ვინც გოდებით მთხოვა შეწყალება, მე კი ენა ამოვაგლეჯინე.

ცეზონია. მოდი აქ. გვერდით მომიწექი. თავი მუხლებზე დამადე. (კალიგულა ემორჩილება) ხომ კარგად ხარ. ყველაფერი მიწყნარდა.

კალიგულა. როგორ თუ მიწყნარდა. რატომ აზვიადებ? განა არ გესმის რკინების ჩხარუნი? (მოისმის რკინის ჩხარუნი). ვერ გრძნობ ჩუმ ხმაურს, ჩასაფრებულ სიძულვილს რომ გვამცნობს? (ხმაური).

ცეზონია. ვერავინ გაბედავს.

კალიგულა. როგორ ვერ გაბედავენ, სისულელე გააბედვინებს.

ცეზონია. სისულელე კი არ ჰკლავს, პირიქით, აჭკვიანებს.

კალიგულა. მაგრამ სისულელე მომაკვდინებელი ხდება მაშინ, როცა შეურაცხყოფილია. ოო. ის ხალხი კი არ მომიღებს ბოლოს, რომელსაც შვილი ან მამა მოვუკალი. არა, ისინი უკვე აზრზე მოვიდნენ და ჩემსკენ არიან, მათაც ჩემნაირი გემო აქვთ პირში. მე თუ მომკლავენ, მხოლოდ ისინი, ვინც აბუჩად ავიგდებ და გავამასხარავე. მათ პატივმოყვარეობას ვერსად გავუქცევი.

ცეზონია. (აღზნებული) ჩვენ დაგიცავთ, შენ ჯერ კიდევ ბევრს უყვარხარ.

კალიგულა. თქვენი რიგები თანდათან კლებულობს. ამაში დიდია ჩემი წვლილი. თანაც, სიმართლე რომ ვთქვა, არა მარტო ხალხის სისულელეა ჩემს წინააღმდეგ, არამედ სიმართლაც და სიმამაცეც იმათი, ვისაც ბედნიერება სურთ.

ცეზონია. (ისევ იგივე შემართებით) არა, ისინი შენ არ მოგკლავენ. სანამ ხელს შეგახებდნენ, ციდან მოვლენილი ცეცხლი გააქრობს მათ.

კალიგულა. ცა. არ არსებობს ცა, უბედურო, (ჯდება). რად გინდა, რატომ მიმტკიცებ ამდენ სიყვარულს, ჩვენ განა ასე ვიყავით შეთანხმებულნი?

ცეზონია. (წამოდგება და სიარულს დაიწყებს). ის არ მეყოფა, რაც შენს მიერ ხალხის ჟღერას შევესწარ, რომ ახლა შენი მოკვლაც ვნახო? განა საკმარისი არ არის, რომ ჩემი სხეული ყოველთვის გღებულობდა შენ-ულმობელსა და განადგურებულს, სიკვდილის სუნით აქოთებულს? იცოდე, ყოველდღე შენში რაღაც კაცური კვდება. (მიუტრიალდება) ვიცი, რომ ხნიერი ვარ და სულ მალე დავუშნოვდები კიდევაც, მაგრამ შენზე ზრუნვამ ჩემი სული ისე გარდაქმნა, რომ უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა, გეყვარები თუ არა. ძალიან მინდა, რომ განიკურნო. შენ ხომ ისევ ბავშვი ხარ. წინ მთელი ცხოვრება გაქვს. ცხოვრებაზე დიდი არის განა რამე ამ ქვეყანაზე.

კალიგულა. (დგება და უყურებს) შენ უკვე დიდი ხანია, აქა ხარ.

ცეზონია. მართალია. ხომ დამტოვებ შენს გვერდით?

კალიგულა. არ ვიცი, რატომ ხარ ჩემს გვერდით: ცხადია, იმ ღამეების გამო, როცა ძლიერ და უსიხარულო სიამოვნებას განიჭებდი ხოლმე და კიდევ იმიტომაც, რომ შენ მე მიცნობ. (ხელს მოჭხვევს და თავს გადაუწევს.) მე ოცდაცხრა წლისა ვარ. ცოტაა. ამ წუთში ჩემი ცხოვრება ხანგრძლივი და ბოლომდე სრულყოფილი მეჩვენება, შენ კი გამოდიხარ ჩემი საბოლოო მოწმე. მე ვერ შევძლებ თავის დაზღვევას იმ სამარცხვინო სინაზისაგან, რომელიც ალბათ მაშინ დამეუფლება, როცა დაბერებულს დაგინახავ.

ცეზონია. მითხარი, რომ მტოვებ შენს გვერდით.

კალიგულა. არ შემიძლია. ვიცი, ეს სათაკილო სინაზე იქნება ის ერთადერთი სუფთა გრძნობა, რაც ცხოვრებას ჩემთვის მოუცია. ეს ხომ საშინელებაა.

ცეზონია ხელიდან დაუსხლტება. კალიგულა გაეკიდება. ქალი მიუახლოვდება და ზურგით მიეყრდნობა. კალიგულა ეხვევა.

კალიგულა. ხომ არ ჯობია, რომ ჩემი უკანასკნელი მოწმე გაქრეს?

ცეზონია. მე იმითაც ბედნიერი ვარ, რაც მითხარი. მაგრამ, რატომ არ შეიძლება, რომ ეს ბედნიერება შენც გაიზიარო?

კალიგულა. მერედა ვინ გითხრა, რომ მე ბედნიერი არა ვარ?

ცეზონია. ბედნიერება კეთილშობილური გრძნობაა, ის არ შეიძლება ნგრევით საზრდოობდეს.

კალიგულა. ჩანს ბედნიერებაც ორგვარი ყოფილა. მე, ეტყობა, მკვლელის ბედნიერება ამირჩევია, რადგან მართლა ბედნიერი ვარ. ცოტა ხნის წინ მეგონა, რომ ტკივილის მწვერვალს მივაღწიე. თურმე ვცდებოდი, თურმე ჯერ კიდევ შემძლება შორს წასვლა. ამ მანძილის ბოლოში კი, ცარიელი და შიშველი ბედნიერება მელოდება. აბა, შემომხედე. (ქალი შეხედავს). ცეზონია, მე მეცინება იმის გახსენებაზე, რომ წლების მანძილზე მთელი რომი ერიდებოდა დრუზილას სახელის წარმოთქმას, რომი წლების მანძილზე ცდებოდა. აი, მაშინ მივხვდი, რომ მე მარტო სიყვარული არ მაკმაყოფილებდა.

შენ რომ გიყურებ, დღესაც იგივე აზრი მიჩნდება. თუ ადამიანი გიყვარს, მასთან ერთად დაბერებაც უნდა გინდოდეს. მე კი ამგვარი სიყვარული არ შემძლია. ჩემთვის ბებერი დრუზილა უფრო საზარელი სანახავი იქნებოდა, ვიდრე მკვდარი დრუზილა. ზოგჯერ ჰგონიათ ხოლმე, რომ კაცის ტანჯვის მიზეზი, მხოლოდ საყვარლის სიკვდილი შეიძლება იყოს. კაცის ნამდვილი სატანჯველი ის ყოფილა, რომ თურმე არც დარდია მარადიული. ტკივილსაც კი არა ჰქონია აზრი.

ხედავ, მე არ გამაჩნდა არავითარი გასამართლებელი საბუთი, არც სიყვარული, არც დარდის ნასახი. დღესაც კი არ გამაჩნია არავითარი ალიბი, მაგრამ ასე თავისუფალი, დღეს რომ ვარ, ჯერ არასოდეს ვყოფილვარ. ეს იმიტომ, რომ არც მოგონება და არც წარმოდგენები არ მაწუხებს. (იცინის) თან, ისიც ვიცი, რომ ხანგრძლივი არაფერია. იცი, რად ღირს ამის ცოდნა. ისტორიაში ორი, ან სამი კაცი თუ ვიქნებით, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოვცადეთ და ბოლომდე ამოვწურეთ ასეთი გიჟური სიყვარული. ცეზონია, შენ ბოლომდე გაქვს ნანახი ერთობ უცნაური ტრაგედია. უკვე დროა, შენთვისაც დაეშვას ფარდა. (უკნიდან მიუახლოვდება ცეზონიას და მკლავს მოხვევს ყელზე).

ცეზონია. (შეშინებული) მაშ, ბედნიერებას მოაქვს ეს საშინელი თავისუფლება?

კალიგულა. (თანდათან ყელში უჭერს ხელს) ასე, ასე, ცეზონია. ასე რომ არა, კმაყოფილი კაცი ვიქნებოდი დღეს. თავისუფლების მოპოვებამ მხოლოდ სულის ღვთიური ნათელმხილველობა ჩამაგდებინა ხელში. (კალიგულა თანდათან აღიგზნება და ნელ-ნელა აღრჩობს ცეზონიას. ქალი წინააღმდეგობას არ უწევს, ხელები წინა აქვს გამოწვდილი, კალიგულა ყურში ეჩურჩულება). ვცხოვრობ, ვჟღეჯ, ხელთა მაქვს ქვეყნის დამაქცეველი ძალაუფლება, ისეთი ძლიერი, რომ მის გვერდით ღმერთის ძალა უბადრუკ პამპულაობას ემსგავსება. აი, რა არის ბედნიერება. ბედნიერებაა ასეთი ამაზრზენი თავისუფლება, ასეთი საყოველთაო სიძულვილი, ბედნიერებაა სისხლისღვრა, სიძულვილი, ბედნიერებაა არაჩვეულებრივი სიმარტოვე კაცისა, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე დაუსჯელი მკვლელის სიხარულით ხარობს, ბედნიერებაა ეს დაუნდობელი ლოგიკაც, რომლის სრულყოფისათვის ამსხვრევ ადამიანთა სიცოცხლეს და შენს სიცოცხლესაც. და ბედნიერებაა ის სამარადისო მარტოობა, რომელიც მე მსურს.

ცეზონია. (ოდნავ შეეწინააღმდეგება) კაიუს.

კალიგულა. (უარესად გაღიზიანებული) სინაზე არ გამაგონო. დროა, ყველაფერს ბოლო მოეღოს, მეჩქარება, ძვირფასო ცეზონია. (ცეზონია ხრიალებს. კალიგულა ლოგინზე

გადაათრევს. დაბნეული შეხედავს და ხრინწიანი ხმით ამბობს.) შენც დამნაშავე იყავი, მაგრამ მოკვლა არ ყოფილა გამოსავალი.

სცენა მეთოთხმეტე

კალიგულა. (შფოთავს და მიდის სარკესთან.) შენც დამნაშავე ხარ, კალიგულა, რა მნიშვნელობა აქვს, ცოტად თუ ბევრად. ვინ გაბედავს ამ უმსაჯულო ქვეყანაში ჩემს დასჯას. აქ ხომ არავინაა უდანაშაულო. (შეწუხებული აეფარება სარკეს.) ხომ ხედავ, ჰელიკონი არ მოვიდა. ესე იგი, მე არ მექნება მთვარე. რა მწარეა, მართალი იყო და მაინც აღსასრულამდე მიხვიდე. როგორ მეშინია აღსასრულის. იარაღის ჩხარუნი ისმის. მაშ, უცოდველობა ემზადება გამარჯვებისათვის. აფსუს, რატომ მათ ადგილას არა ვარ. მეშინია. რა საზიზღრობაა სულის სილაჩრე, მე თვითონ ვერ ვიტანდი ლაჩარ ხალხს, ეხლა კი დავფრთხი. თუმცა არაფერია. არც შიშია მუდმივი. დიდ სიცარიელეს შევეფარები და გულიც დამიმშვიდდება. (უკან დაიხევს. მერე ისევ სარკესთან მივა. მშვიდდება. იწყებს ლაპარაკს, მაგრამ უფრო ხმადაბლა და უფრო აზრიანად).

ერთი შეხედვით ყველაფერი რთული ჩანს, არადა, ყველაფერი ძალზე მარტივია. მე რომ მთვარე მქონოდა და სიყვარულს დავეკმაყოფილებინე, ყველაფერი შეიცვლებოდა. მაგრამ, სად შეიძლება ამ ჩემი წყურვილის დაოკება? რა გულს ან რა ღმერთს შეუძლია ტბის სიღრმე ჰქონდეს? (ჩაიმუხლებს და ტირის). არც ამ ქვეყანაზეა და არც იმ ქვეყანაზე რამე ისეთი, მე რომ გამწვდეს. მეც კარგად ვიცი და შენც, რომ ამისათვის შეუძლებელი შესაძლებელი უნდა ყოფილიყო. (სარკისკენ გაიწვდის ხელს ტირილით.) შეუძლებელი სად აღარ ვეძებე, საკუთარ თავსაც კი გადავაჭარბე ძებნაში. ხელეგაწვდილი დავდიოდი, (ყვირის) კიდევაც ვიწვდი ხელს და, ვაი, რომ შენ გხვდები ჩემს წინ, მე შენ მეზიზღები, მე სწორი გზით არ მივდივარ, ჩემს გზას არა აქვს ბოლო. ეს ჩემი თავისუფლებაც ვერაფრის მაქნისია. ჰელიკონ. არაფერი. ისევ არაფერი. რა მძიმე ღამეა. ჰელიკონი არ მოვა. ჩვენ სამუდამო დამნაშავეებად ვრჩებით. ეს ღამე ადამიანის ტკივილივით მძიმეა. (ისმის იარაღის ხმა და ჩურჩული).

ჰელიკონი. (გამოჩნდება სიღრმეში) თავს უშველე, კაიუს. თავს უშველე. (უხილავი ხელი ხანჯალს ჩასცემს ჰელიკონს. კალიგულა დგება, იღებს ტაბურეტს და რის ვაი-ვაგლახით მიდის სარკესთან. უყურებს თავის გამოსახულებას, ვითომ ნახტომს აკეთებს წინ, მოისვრის ტაბურეტს და ღრიალებს).

კალიგულა. ჩაბარდი ისტორიას, კალიგულა. (სარკე იმსხვრევა. ამ დროს ყოველი მხრიდან შემოდინან შეთქმულები. კალიგულა წინ დაუდგება მათ და გიჟური სიცილი უტყდება. ხნიერი პატრიციუსი ზურგში ჩასცემს მახვილს, ხერეა კი, სახეში. კალიგულას სიცილი სლოკინად ექცევა. ყველა ურტყამს. ბოლოს ხრიალი აღმოხდება, მაგრამ მაინც დაიღრიალებს). მე ისევ ცოცხალი ვარ.

ფარდა